წელიწადი მეათე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო ვადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20 %-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- — პროფბიუროკრატები ცდილობენ ბერლინის მეტალისტთა გაფიცვის ჩაშლას.
- — ავსტრიაში მზადდება ფაშისტური გადატრიალება.
- — რურის ოლქში მაღაროს აფეთქების დროს დაიღუპა 200 კაცი
- — გაიხსნა ფინეთის სეიმი..
- — გაფიცული მუშები მოითხოვენ ბრიუნინგის მთავრობის გადაყენებას.
- — ყინულის მჭრელი „ლენინი“ დაბრუნდა არხანგელსკში.

ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 248 (2896)

1.300.000 ახალი მუშა მშენებლობას

საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმ ქარხნების მუშა ხელით გეგმიანად უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც ახლახად შენდება, დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. სულ ცოტა ხნის წინად საერთაშორისო მენშევიზმი სადაოდ სთვლიდა საბჭოთა კავშირში უმუშევრობის მოსპობას და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას უმუშევრებისათვის დახმარების შეწყვეტის შესახებ ადარებდა კაპიტალისტური მთავრობების გადაწყვეტილებას — შესწყვიტონ ის მცირე დახმარება, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნების მრავალ მილიონ უმუშევარს უწევდნენ. 1.300.000 ახალი მუშის გამონახვა იმ ქარხნებისათვის, რომლებიც შენდება, ინდუსტრიალიზაციის გუმბერაზული პროგრამის შესრულებისათვის, — აი ამოცანა, რომელსაც საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიზნად ისახავს. ევროპასა და ამერიკაში 20 მილიონი უმუშევარია. საბჭოთა კავშირი კი სამრეწველო მუშების კადრებს ერთნახევარი მილიონი ახალი მუშით ადიდებს. ეს ფაქტი ფართო გამოძახილს გამოიწვევს მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატში.

ამ უდიდეს მასების მობილიზაციისა და მათი სწავლების ამოცანა იოლი ამოცანა როდია. იგი მოითხოვს დიდ ღონისძიებებს პარტიის, პროფკავშირების, საბჭოთა მთავრობისა და მუშათა ფართო მასების მხრით. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ამ ამოცანების განსახორციელებლად სხვადასხვა ზომას გვისახავს. ჯერ ერთი, უნდა დააჩქარონ გამოშვება იმ სკოლებმა, რომლებიც მრეწველობისათვის მუშა ხელს ამზადებენ. ჩვენ ყველას გვახსოვს, როგორი დაბრკოლებებით იბრძოდა საფაბრიკო - საქარხნო სკოლა მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში იმისათვის, რომ სწავლა დამთავრებული ახალგაზრდა მუშებისათვის უზრუნველეყო ადგილები ქარხნებში. რეკონსტრუქციის პერიოდის 8 წლის განმავლობაში საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა სულ 200.000 მოზარდი მუშა გამოუშვეს. 1929-30 წელს ხსენებულ სკოლებში შესულთა რიცხვმა გადააჭარბა გასული რვა წლის რიცხვს. ეხლა ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს, შრომის ცენტრალურ ინსტიტუტს და ყველა სპეციალურ სამრეწველო სკოლას — მთელი ენერგია მოიკრიბონ იმისათვის, რომ ყოველმა მოზარდმა მუშამ მიიღოს თუნდაც მოკლევადიანი მომზადება და ერთბაშად დაიჭიროს თავისი ადგილი სამრეწველო არმიის რიგებში. მაგრამ ცხადია, — რა ზომებიც არ უნდა მივიღოთ ჩვენი საფაბრიკო სკოლების ქსელის გასაფართოებლად, ისინი ვერ მოგვცემენ საჭირო რაოდენობის მუშებს. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი ავალებს შრომის სახალ. კომისარიატის ორგანოებს — აღრიცხონ მუშა - მოსამსახურეების ოჯახების შრომის უნარიანი წევრები, რომლებიც უკვე მუშაობდნენ ქარხნებში, მუშა - მოსამსახურეების შვილები, რომლებსაც თუმცა ჯერ არ უმუშავნიათ დაქირავებით, მაგრამ შესწევთ შრომის უნარი, მუშა - მოსამსახურეების ცოლები და ქვრივები, სარეწაო კოოპერაციის წევრები, რომლებსაც წინად არ უმუშავნიათ დაქირავებით და მოჯამაგირეები, რომლებიდანაც სამრეწველო პროლეტარიატის ახალი რაზმები უნდა შესდგეს.

ყველა ქარხნებში საჭირო იქნება მუშათა კვალიფიკაციის გადასინჯვა, რათა კვალიფიციურმა მუშებმა გაიარონ კურსები მათი კვალიფიკაციის ასაწევად და მათ გასაგზავნად უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე. ის მუშები, რომლებიც არა თავიანთი სპეციალობის მიხედვით მუშაობენ, უნდა განაწილდნენ ქარხნებს შორის, რათა უკეთ იქნას გამოყენებული მათი სამუშაო ძალა.

ამასთან ცენტრალურმა კომიტეტმა აკრძალა კვალიფიციური მუშების დაწინაურება საკანცელარიო თანამდებობაზე სამმართველო აპარატში. მათი მოწყვეტა დაზგას მიზანშეწონილია მხოლოდ სახელმძღვანელო მუშაობისათვის მრეწველობასა და პროფკავშირებში.

ბოლოს, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი მოხეტიალეების, შრომის დეზერტირების და ისეთ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთა შესახებაც ლენინი ამბობდა, რომ მათ სურთ რაც შეიძლება მეტი წააგლიჯონ მუშათა მთავრობას და რაც შეიძლება ცოტა იშრომონ მუშათა სახელმწიფოსთვისო. ეს ელემენტები ექვსი თვით ჰკარგავენ სამრეწველო საწარმოებში მუშაობის უფლებას.

ცენტრალური კომიტეტის შემდეგი გადაწყვეტილება ავალებს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს—მიიღონ ზომები იმისათვის, რომ იმ დამკვრელ მუშებს და ტეხნიკურ პერსონალს, რომლებიც წარმოების საუკეთესო მუშაკები არიან, უპირატესობა მიეცეთ ბინების მიცემისას, უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში გაგზავნისას და სხვ.

ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებათა აზრი ნათელია. ეს გადაწყვეტილებები მიმართულია იქეთკენ, რომ მოხდეს მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის პროლეტარული ელემენტებისა, რომლებისთვისაც ინდუსტრიალიზაციის საქმე საკუთარი საქმეა. მუშა ქალები, რომლებსაც ოჯახი ფაბრიკაში მუშაობის საშუალებას არ აძლევდა, მუშა ახალგაზრდობა, ხელოსნები და მათი შვილები, ყველანი, ვინც ყოველთვის ფაბრიკისაკენ მიილტვოდა და [illegible] ერთგვარი ტექნიკური კულტურა, უნდა გამოეხმაურონ საბჭოთა მთავრობის მოწოდებას. ამავე დროს, სოფლად, შრომის უფრო სწორი ორგანიზაციის წყალობით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით განთავისუფლდება მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ელემენტების ნაწილი ფაბრიკებში სამუშაოდ. ამ უდიდესი ახალი მასების საწარმოო პროცესში ჩაბმის ამოცანა ადვილი როდია. ის კვალიფიციური მუშები, რომლებსაც უკვე გავლილი აქვთ ფაბრიკაში გამოწვრთნა, მეტად ფრთხილად უნდა იქნენ გამოყენებულნი თავიანთი კვალიფიკაციის მიხედვით და მათ უნდა აამაღლონ ეს კვალიფიკაცია, ვინაიდან ეხლა ისინი უბრალო მუშები აღარ არიან, ეხლა ისინი გამოდიან ინსტრუქტორების როლში, მასწავლებლობას უწევენ არაკვალიფიციური მუშა ხელის ახლად ჩაბმულ კადრებს.

ეს ამოცანა, რომელიც ძველი მუშების წინაშე სდგას, მარტო ტეხნიკური ამოცანა არ არის. ახალი მუშების თვალსაჩინო ნაწილი მიღებული იქნება სოფლიდან და შინამრეწველებიდან. ისინი თან მოიტანენ მრავალ წვრილ - ბურჟუაზიულ ჩვეულებას და დისციპლინის უქონლობას. მოწინავე მუშების ამოცანა იქნება — თავიანთი მაგალითით დაეხმარონ მათ გარდაიქმნან მუშათა ქურაში. „იმისათვის, რომ აღვადგინოთ მეურნეობა, საჭიროა დისციპლინა. პროლეტარული დიქტატურა მეტ ნაწილად იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ქალაქის და სამრეწველო მუშების ყველაზე შეგნებულმა და ყველაზე დისციპლინიანმა ნაწილმა, იმ მუშების, რომლებიც ყველაზე მეტად შიმშილობენ და რომლებმაც ამ ორ წელიწადში გაუგონარი სიმძიმე იკისრეს,—რომ მათ აღზარდონ, დაახელოვნონ და გასწვრთნან მთელი დანარჩენი, ხშირად შეუგნებელი, პროლეტარიატი და გლეხობის მთელი მშრომელი მასა“ — სწერდა ლენინი 1919 წელს. ლენინის ამ ანდერძის შესრულება ეხლა ბევრად უფრო ადვილია. ამ ათ წელიწადში, რომელმაც განვლო იმ დროიდან, როდესაც ლენინი ამ სიტყვებს სწერდა, კვლავ თავი მოიყარეს სამრეწველო მუშებმა, რომლებიც თვალსაჩინოდ დაიქსაქსნენ შიმშილობისა და სამოქალაქო ომის დროს. ამ ხნის განმავლობაში წამოიზარდა პროლეტარული ახალგაზრდობა, რომელმაც გაიარა სოციალისტური მშენებლობის უდიდესი სკოლა და თავისი რიგებიდან ათი და ასი ათასობით გამოჰყო ორგანიზატორები. მაგრამ თუმცა მუშათა კლასის ახალი კადრების აღზრდის ამოცანა ეხლა უფრო ადვილი იქნება, იგი მაინც მეტად დიდია. პარტიამ თავის დროზე მოხსნა პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელობიდან ძველი ზედაფენა, რომელსაც არ ესმოდა, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ახალი უდიდესი სამრეწველო მშენებლობის გზით, რაც სამუშაოს მოუპოვებს მუშათა ახალ მილიონებს, რაც მოგვცემს აგურს, ქვანახშირს და რკინას საბინაო მშენებლობისათვის, მოგვცემს მანქანებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის და უზრუნველჰყოფს მუშების უკეთეს კვებას და მათთვის უკეთესი ტანისამოსის მიწოდებას.

პირით წარმოებისაკენ! ამ ლოზუნგით, რომელიც წამოაყენა პროფკავშირთა მე-8 ყრილობამ და დაადასტურა პარტიის მე-16 ყრილობამ, თავიდან ბოლომდე უნდა განიმსჭვალოს პროფკავშირთა მთელი მუშაობა. შრომის სახალხო კომისარიატის ოპორტუნისტმა ხელმძღვანელებმა ვერ გაიგეს ის, რომ ეს ლოზუნგი გვავალებს მოვიკრიბოთ მთელი ძალღონე პროლეტარიატის ახალი კადრების მოსამზადებლად და არ დავკარგოთ მუშათა სახელმწიფოს ფული იმათ დასახმარებლად, ვისაც არ სურს იმუშაოს. შრომის სახალხო კომისარიატის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს მთელი ძალების მობილიზაცია, რათა მუშათა ორგანიზაციებთან ერთად შეასრულოს ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება.

კბილთა ღრჭენით მიიღებენ საერთაშორისო პრესა, ბურჟუაზია და მისი მენშევიკი დამქაშები ცნობებს საბჭოთა ხელისუფლების იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ შეადგინოს მუშათა არმიის ახალი უდიდესი რაზმი, ვინაიდან ეს ცნობები მთლიანად ააშკარავებენ მათ სიცრუეს, ვითომ საბჭოთა კავშირში უმუშევრობაა და ხუთწლედი მარცხს განიცდის. ისინი შეეცდებიან დაფარონ თავიანთი დაბნევა ფრაზებით შრომის დამონების შესახებ. ევროპის შეგნებული მუშები სიცილით უკუაგდებენ იმათ უბადრუკ ფანდებს, ვინც იცავს იმ წყობილებას, სადაც მუშათა კლასის თავისუფლება გამოიხატება 20 მილიონი უმუშევრით, გამოიხატება მოზარდი მუშების და უმუშევართა ცოლების მასიური პროსტიტუციით.

სოციალიზმი არის შრომის ორგანიზაცია. საბჭოთა პროლეტარიატის ძლევამოსილი წინსვლის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ის ფაქტი, რომ ჩვენ ეხლა უნდა მივიღოთ ზომები, რათა 1300 ათასი ახალი მშრომელი ჩავაბათ ფაბრიკის მუშაობაში. ცნობა ამის შესახებ ახალ ძალას შემატებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს, ვინაიდან ამ ცნობიდან ოქტომბრის რევოლიუციის მე-13 წლის თავის წინ ისინი გაიგებენ, რომ, სიძნელეთა მიუხედავად, პროლეტარული რევოლიუცია ძლევამოსილად მიიწევს წინ.

„იზვესტია“, 22 ოქტომბერი.

რატომ ებრძვის ბურჟუაზია საბჭოთა ექსპორტს

ამხ. როზენგოლცის განცხადება

საკავშირო სახკომსაბჭოს იმ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ეკონომიურ კონტრზომებს ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ, რომელნიც საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის განსაკუთრებულ რეჟიმს ამყარებენ, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. როზენგოლცმა პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადა: „რამოდენიმე ხნის წინად დასავლეთ ქვეყნებში დაიწყო და უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაძლიერდა კამპანია საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ. ეს კამპანია ბურჟუაზიული პრესის ფურცლებიდან გადავიდა მინისტრთა კაბინეტებსა და პარლამენტებში და მან უკვე ჰპოვა თავისი გამოხატულება მთავრობის განკარგულებებში და თითქმის საკანონმდებლო აქტების პროექტებშიაც კი. ამ კამპანიის გამოსავალ წერტილად სურთ აქციონ დასავლეთ ქვეყნებში არსებული მძიმე ეკონომიური კრიზისი. ამ კრიზისს კამპანიის ინიციატორები და ხელმძღვანელები საბჭოთა ექსპორტით ხსნიან. ასეთი ახსნით ფიქრობენ დააჯერონ, რა თქმა უნდა, ეკონომიურად და პოლიტიკურად უვიცი ხალხი. ვინაიდან ის, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებში, არ შეიძლება არ მიხვდეს, რომ დასავლეთში არსებულ კრიზისს სულ სხვა, უფრო ღრმა ფესვები და მიზეზები აქვს და რომ საბჭოთა ექსპორტის საკითხს საერთო არაფერი აქვს კრიზისის პრობლემასთან.

ცნობილია, რომ ეკონომიური კრიზისები—სამრეწველო, აგრარული და საერთო— დამახასიათებელია კაპიტალისტური წყობილებისათვის და რომ ეს კრიზისები ომამდე პერიოდულად ხდებოდა. არავის არ მოსვლია მაშინ თავში კრიზისებისა და და კრიზისის მოვლენების მიზეზების დაკავშირება ნედლეულის ექსპორტთან. კაპიტალისტურ ეკონომიკაში ჩამარხულ ორივე მიზეზს ამჟამად სპეციალური მოვლენებიც დაემატა, რომლებიც გამოიწვიეს ომმა და მისმა შედეგებმა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად ერთ-ერთ ასეთ შედეგად, რომელიც ცუდ გავლენას ახდენდა სოფლიო ეკონომიკაზე, ითვლებოდა საბჭოთა კავშირის ჩამოშორება მსოფლიო საქონლის ბრუნვიდან ან მისი არა საკმაო მონაწილეობა ამ ბრუნვაში, რასაც, სხვათა შორის, საბჭოთა წყობილებას აბრალებდნენ და რაც საბჭოთა კავშირისადმი დასავლეთის მტრული განწყობილების დასაბუთების არგუმენტადაც კი წარმოადგენდა.

ამჟამად, როცა ჩვენმა ქვეყანამ ომით და ინტერვენციით დანგრეული მეურნეობა აღადგინა და მსოფლიო საქონლის ბრუნვაში იწყო მონაწილეობის მიღება, ეს გარემოება, წინააღმდეგ ყოველგვარი ლოღიკისა, მსოფლიო კრიზისის მიზეზად ცხადდება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრალდებების წაყენების ახალ საბაბად ხდება. მეფის რუსეთს უფრო მეტი აბსოლუტური რაოდენობის ნედლეული გაჰქონდა, ვიდრე საბჭოთა კავშირს გააქვს, და მისი ხვედრითი წონა მსოფლიო ექსპორტში ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ამჟამად არის, ვინაიდან, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის პურის ექსპორტი ომამდე არსებული ექსპორტის ერთმესამედსაც არ შეადგენს. მაგალითად, 1913 წ. რუსეთიდან გატანილი ხორბალი შეადგენდა ყველა აგრარულ ქვეყნების საერთო ექსპორტის 25 პროცენტს, საბჭოთა კავშირის ექსპორტი კი 1923 წელს საერთო ექსპორტის 8 პროცენტსაც არ შეადგენდა და, ალბად, არც წელს იქნება მეტი. მიუხედავად ამისა, მეფის რუსეთის ექსპორტი, როგორც ვიცით, სავსებით კანონიერად ითვლებოდა და არავითარ პროტესტს არ იწვევდა. მაგრამ სულ სხვა დამოკიდებულებას იჩენენ ბურჟუაზიული ქვეყნები საბჭოთა კავშირის ექსპორტისადმი.

ომის, ბლოკადის, ინტერვენციის და ეკონომიური ბოიკოტის გამო, ჩვენი ქვეყანა რამდენიმე წლის განმავლობაში არ ჩანდა მსოფლიო ბაზარზე როგორც ექსპორტიორი, და მისი ადგილი დროებით დაიჭირეს სხვა აგრარულმა ქვეყნებმა. არავინ არ აცხადებდა პროტესტს ამ ქვეყნების ექსპორტის ზრდის წინააღმდეგ, რაც უეჭველად ახდენდა გავლენას მსოფლიო ფასებზე, მაგრამ საკმარისი იყო ჩვენს ქვეყანას დაეწყო თავისი ძველი პოზიციების დაბრუნება და მცირე ადგილი დაეჭირა საერთო ექსპორტში, რომ მას საერთო ღრიანცელი გამოეწვია— თითქოს იგი მართლაც ბოროტმოქმედებას ჩადიოდეს მსოფლიო ეკონომიკის წინააღმდეგ.

ამბობენ, ვითომ ჩვენი პურის გამოჩენას უცხოეთში გამოეწვიოს ფასების დაცემა და კრიზისი აგრარულ ქვეყნებში. მაგრამ როცა ამ არგუმენტს ხელზე იხვევენ, ივიწყებენ, რომ პურის ფასების დაცემის პროცესი ჯერ კიდევ 1920 წელს დაიწყო და გრძელდებოდა იმ წლებში, როცა ჩვენ არ გაგვქონდა პური მსოფლიო ბაზარზე. ასე, მაგალითად, რომის სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტის ცნობების მიხედვით, ტონა ხორბლის მსოფლიო ფასი ასეთი იყო: 1920 წელს 196,87 მან., 1921 წ.—148,58 მან., 1922 წ.—108,04 მან., 1923 წ.—95,44 მან., 1926 წ.— 115,72 მან., 1927 წ.—111,01 მან., 1928 წ.— 100,81 მან., და 1929 წ. —93,81 მან. რა თქმა უნდა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წყალობით და იმის მეოხებით, რომ ჩვენში არ არსებობენ საექსპორტო ფირმები, ბირჟის მაკლერები, შემსყიდველები, გადამყიდველები და სხვა შუამავლები, საშუალება გვეძლევა პური გავყიდოთ არა სპეკულიატიურ ფასებში, რაც უსათუოდ ხელსაყრელია მომხმარებელთა ფართო მასებისათვის.

ვერ უარვყოფთ იმას, რომ ამ გარემოებას, ისევე როგორც თვით ჩვენი პურის მსოფლიო ბაზარზე გამოჩენის ფაქტს, არ შეიძლებოდა, ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა მსოფლიო ფასებზე, მოთხოვნილებისა და მიწოდების კანონის ძალით. ასეთივე გავლენა, ბევრად უფრო დიდიც, ფასებზე აქვს პურის გამოჩენას კანადიდან, არგენტინიდან, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ავსტრალიიდან, სამხრეთ- სლავიიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებსაც ბევრად მეტი გააქვთ, ვიდრე საბჭოთა კავშირს. იბადება კითხვა, რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ გამოჰყონ საბჭოთა პური, როგორც ფასების დაცემის მიზეზი და მოითხოვონ, მსოფლიო ფასების აწევის მიზნით, საბჭოთა პურის მოშორება, და არა კანადის, ამერიკის ან სხვა პურის, რომელიც თვალსაჩინოდ სჭარბობს საბჭოთა პურის ხვედრითი წონას საერთო ექსპორტში და ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენს ფასებზე. ყოველ შემთხვევაში სოფლიო ბაზარზე საბჭოთა ნედლეულის გაზიდვის შეწყვეტა განუხორციელებელია და საეჭვოა, რომ მისი გაყიდვისათვის არანორმალური პირობების შექმნამ ხელი შეუწყოს იმავე ნედლეულის გასაყიდი ფასისა და მსოფლიო ფასების აწევას. საინტერესოა, რომ ისეთი დაწესებულებაც კი, როგორიცაა ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელსაც არ შეიძლება ბრალი დავდოთ ბოლშევიზმში, ხორბლის ფასების დაცემას ხსნის არა საბჭოთა ექსპორტით, არამედ შემდეგი მომენტებით: 1. ხორბლის მსოფლიო წარმოება სწრაფად გადიდდა 1924 წლიდან 1928 წლამდე; ხორბლის მარაგი წლითი-წლობით იზრდებოდა და 1928-29 წლის გასავლების სეზონის დამლევისათვის მან მაღალ დონეს მიაღწია. 2. მაშინ, როდესაც ხორბლის მსოფლიო მოხმარება გადიდდა ხანგრძლივი პერიოდისათვის, ხოლო ზოგ ქვეყანაში არის სულობრივი მოხმარების შემცირების ტენდენცია, ზოგიერთმა ქვეყანამ დააწესა— საიმპორტო რესტრიკაციები, რომლების ტენდენციაა ხორბლის მოხმარების შემცირება და მისი სხვა პროდუქტით შეცვლა. 3. საფინანსო და სამეურნეო დეპრესიას, რომელიც მსოფლიო ხასიათს ატარებს, თან მოჰყვა ყველა საქონლის, კერძოდ ხორბლის, ფასების საყოველთაო დაცემა.

რაც შეეხება ბრალდებებს ეგრედ წოდებული დემპინგის შესახებ, ამ ბრალდებათა შეუსაბამობა და არაკეთილსინდისიერება უკვე საკმაოდ გამოაშკარავებულია უაღრესად ავტორიტეტული ეკონომიური ორგანოების მიერ. დავასახელებ თუნდაც საზღვაო კომერციულ ბიულეტენს, რომელსაც სცემს მარსელში ჰავასის სააგენტო. ამ ბიულეტენში შავი ზღვის ნავსადგურებიდან გატანილი საბჭოთა პურის გასაყიდი ფასები, ბაზრის მთელი რყევის მიუხედავად, აღნიშნულია დუნაის ქვეყნების პურის ფასებზე მაღლა. მაგალითად, 10 სექტემბრისათვის ნოვოროსიისკიდან და ტაგანროგიდან მიღებული ტონა საბჭოთა პური მარსელში ფასობდა 119—115 ინგლისურ შილინგად, ხოლო ამავე ღირსების ტონა რუმინული პური 111 შილინგად იყიდებოდა. შემდეგ პარიზის ბაზრების ბიულეტენი 13 ოქტომბრის ნომერში სწერდა: „როდესაც თვალყურს ვადევნებთ რუსების პოზიციას, უნდა ვთქვათ, რომ არა საბჭოები ჰქმნიან დემპინგს, არამედ დუნაის ქვეყნები. მაშინ როდესაც რუსები ერთი ხარისხის 80 კილოს ჰყიდიან 120 შილინგად და მეორე ხარისხის — 78,79 კილოს 116 შილინგად, დუნაის ქვეყნები თავიანთ ტვირთებს 78 კილოს 108—110 შილინგად ჰყიდიან“. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დუნაის ქვეყნებს არა აქვთ საბჭოთა კავშირის ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობანი, შუამავლობის მოსპობის გამო, და რომ იქ გაბატონებულია მიწათმოქმედების შედარებით ჩამორჩენილი ფორმები, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ ეს ქვეყნები ჰყიდიან პურს თვითღირებულებაზე დაბლა და ჰქმნიან ეგრედ წოდებულ დემპინგს, რომელსაც საბჭოთა კავშირს მიაწერენ, და რომ კამპანია საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ ნაკარნახევია არა ეკონომიური ხასიათის მოსაზრებებით, რასაც სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ კამპანიის ხელმძღვანელობა იკისრეს სწორედ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც უკანასკნელი ადგილი უჭირავთ ჩვენი ნედლეულის შემტან ქვეყნებში, ან რომლებიც კონკურენციას არ უწევენ და არ შეუძლიათ გაუწიონ მას თავიანთი საკუთარი ნედლეულით. მაგალითად, ჩვენი ექსპორტი საფრანგეთში 1928-29 წელს საბჭოთა საერთო ექსპორტის 4,9 პროცენტს შეადგენდა. ხორბალი არ გააქვთ არც ესტონეთს და არც ლატვიას, პირიქით, ისინი უცხოეთის ხორბლის მომხმარებელნი არიან. ამავე დროს კი ეს ქვეყნები, პოლონეთთან ერთად, მონაწილენი არიან პირველი აგრარული კონფერენციისა, რომელიც, როგორც რუმინეთის ვაჭრობის მინისტრმა აღიარა, ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა. განა ესაჭიროება მტკიცება იმას, რომ ეს კამპანია ოდნავადაც არ შეანელებს ეკონომიურ დეპრესიას დასავლეთში? განა ცხადი არ არის, რომ მსოფლიო კრიზისის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ჭარბი სამრეწველო წარმოება და არასაკმაო გასაღება, და რომ ეს ჭარბი წარმოება შეიძლება მხოლოდ გამწვავდეს იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დაიხურა, როგორც გასაღების ბაზარი უცხოეთის სამრეწველო პროდუქციისათვის, საბჭოთა ექსპორტის შეწყვეტის ან შემცირების შედეგად. ამჟამად დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში არსებობენ მრეწველობის ისეთი დარგები, რომელნიც დატვირთულნი არიან უმთავრესად საბჭოთა შეკვეთებით და ამ შეკვეთების მოსპობას შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი ქარხნებისა და მრეწველობის მთელი დარგების სრულიად დახურვა ან შეჩერება და უმუშევრობის სათანადოდ გადიდება.

განა ეს არის კრიზისის განკურნების ანდა შესუსტების საშუალება? ხოლო ექსპორტის გარეშე რომ არც ერთ ქვეყანას, და მით უმეტეს საბჭოთა კავშირს, რომელსაც არა აქვს მსხვილი კრედიტები, არ შეუძლია თავისი იმპორტის განვითარება, ამას მტკიცება არ უნდა. შეიძლება შემეკითხონ: ნუ თუ ვერ ხედავენ ანტისაბჭოთა კამპანიის ინიციატორები და ხელმძღვანელები იმ სავალალო შედეგებს, რომლებსაც გამოიღებს ამ კამპანიის წარმატება? ამაზე მე უნდა ვუპასუხო: პირველი—კამპანია ჩაისახა და ტარდება იმ ქვეყნებში, რომლებმაც, თავისი საკუთარი მიზეზით, დღემდი ვერ შესძლეს ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან, ამიტომ ისინი შედარებით ნაკლებად დაზარალდებიან საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით ანდა შემცირებით. მათ იციან, რომ კამპანიის სავალალო შედეგები გავლენას მოახდენენ უმთავრესად სხვა ქვეყნების ინტერესებზე.—იმ ქვეყნების, რომლებმაც უკვე მოახერხეს საკმაოდ გაცხოველებული ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან, და ამ ქვეყნების ხარჯზე სურთ მათ თავიანთი კამპანიის ჩატარება. ისიც, რომ ისინი შეგნებულად ისახავენ სხვა მიზანსაც, სახელდობრ ამ ქვეყნების დასუსტებას და კამპანიის ინიციატორებისაგან მათი დამოკიდებულების გაძლიერებას. მეორე —და ამას მე განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვა—კამპანია სრულებით არ გამომდინარეობს კრიზისის ფაქტიდან და იგი სრულებით არ ფიქრობს ამ კრიზისის შენელებას, არამედ მიზნად ისახავს ცალკე ქვეყნების გარკვეულ პოლიტიკურ ამოცანებს და საბჭოთა კავშირთან ყოველმხრივ ბრძოლას.

საბჭოთა კავშირის მტრებს სამხედრო ინტერვენციის მარცხის შემდეგ არასოდეს არ ჩაუგიათ მახვილი, ლესავენ და ყოველ ახალ წელს სინჯავენ ახალ ანტისაბჭოთა იარაღს. ეხლანდელი კამპანია საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ ისახავს იმავე მიზანს, როგორსაც ისახავდა შარშანდელი კლერიკალური კამპანია, სახელდობრ— საზოგადოებრივი აზრის მომზადებას ინტერვენციისათვის. მიუხედავად ამისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კამპანია ისევე ჩაიშლება და ვერ მიაღწევს მიზანს, როგორც ჩაიშალა ყველა სხვა ანტისაბჭოთა კამპანიები. საბჭოთა მთავრობა ვერ დარჩება იმ ანტისაბჭოთა მოქმედებების პასიურ მაყურებლად, რომლებიც თან სდევს აღნიშნულ კამპანიას. როცა ამ ცოტა ხნის წინად საფრანგეთის მთავრობამ მთელ რიგ საბჭოთა საექსპორტო საქონლის შეტანაზე დააწესა განსაკუთრებული რეჟიმი, ჩვენმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პარიზში ენერგიული პროტესტი განაცხადა. მან პროტესტი განაცხადა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის სპეციალური რეჟიმის შემოღების წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობა სრულიად დაუსაბუთებლად ცდილობს გაამართლოს თავისი დეკრეტი სამაგიერო გადახდის არგუმენტით. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და ლიცენზიო რეჟიმს, რომელიც ჩვენში არსებობს, ჩვენ ერთნაირად ვუყენებთ ყველა ქვეყნებს და ვერაფერს ვიტყოდით იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთსაც ასეთი რეჟიმი შემოეღო ყველა ქვეყნებისათვის. ჩვენ ვერ შევურიგდებით განსაკუთრებული კანონების შექმნას საბჭოთა კავშირის მიმართ და სწორედ ამის წინააღმდეგ იყო მიმართული ჩვენი პროტესტი.

ამავე დროს, არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მარტო პროტესტებით, თუ ისინი მიზანს ვერ აღწევენ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ავალებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიიღოს დაცვის სათანადო ზომები იმ ხელოვნური ზღუდეებისა და აკრძალვების წინააღმდეგ, რომლებიც იქმნებიან განსაკუთრებული კანონებით და განკარგულებებით. ასეთი აზრი აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას“.

ევროპის იმპერიალისტები საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ

რუმინეთის ფინანსთა სამინისტრომ საბოლოოდ აკრძალა საბჭოთა საქონლის შეზიდვა

ვენა, 21 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა რუმინეთის ფინანსთა სამინისტროს ცირკულიარული განკარგულება, რომლითაც საბოლოოთ აკრძალულია 15 ოქტომბრის შემდეგ მიღებული საბჭოთა საქონლის რუმინეთში შეზიდვა. დღემდე გამოცემულ ყველა განკარგულებებს ძალა აქვთ მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან შემოზიდული იმ საქონლის შესახებ, რომელიც 15 ოქტომბრამდე იყო მიღებული რუმინეთის ტერიტორიაზე. უკანასკნელი განკარგულება საბჭოთა საქონლის შემოზიდვის შესახებ, არის მეხუთე იმ განკარგულებათაგანი, რომლებიც გამოცემულ იქნენ მთავრობის მიერ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში.

წინა განკარგულების თანახმად, რუმინეთში ნებადართული იყო საბჭოთა იმ საქონლის შეზიდვა, რომლის შეძენის შესახებაც ხელშეკრულების დადების უფლება მინიჭებული ჰქონდათ საბაჟოებს 1930 წლის 30 ივლისამდე. არის მრავალი ისეთი იმპორტიორი, რომელთაც წარდგენილი აქვთ კონტრაქტები საბაჟოში 30 ივლისამდე, მაგრამ შეძენილი საქონელი მათ ჯერ კიდევ არ შეუზიდავთ რუმინეთში, რადგან ამის შესახებ ნებართვას ელოდნენ.

უკანასკნელათ გამოცემული განკარგულების თანახმად კი, 15 ოქტომბრის შემდეგ რუმინეთში აკრძალულია საბჭოთა საქონლის შეზიდვა მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ იმპორტიორს ძველი განკარგულებების თანახმად ნებართვა შეძენილი საბჭოთა საქონლის შეზიდვის შესახებ (ადს).

აგრარული ბანკის დირექტორი მოითხოვს ინტერვენციას საბჭ. კავშირის წინააღმდეგ

ვენა, 21 ოქტომბერი. რუმინეთის კაპიტალისტურმა პრესამ გააძლიერა კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მიზნისათვის პრესა სარგებლობს ზღაპრით „საბჭოთა დემპინგის“ შესახებ. ეკონომიური ორგანო „არგუს“-ი მოწინავეში, რომელიც დაწერილია აგრარული ბანკის გენერალური დირექტორის რადუკანუს მიერ, გადაჭრით მოითხოვს ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რასაც მხოლოდ და მხოლოდ „ჰუმანიტარული“ მოსაზრებებით ასაბუთებს. (ადს).

ფლანდენის განცხადება

ვენა, 21 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, 22 ოქტომბერს სოფიაში გაემგზავრა საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ ლაშქრობის ორგანიზატორი—საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი ფლანდენი, რომელმაც რუმინეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს შემოიღოს საბჭოთა საქონლის შემოზიდვაზე კონტროლის დაწესების სისტემა და ამ მიზნით შემოღებულია შემოსაზიდი ნებართვების გაცემის განსაკუთრებული წესი. საბჭოთა საქონლის შემოზიდვის აკრძალვა მთელი ევროპის მასშტაბით მეტად ძნელი საქმეა.

საბჭოთა საქონლის შემოზიდვის წინააღმდეგ, საერთო ჯვაროსნული გალაშქრება.—პირფერობით განაცხადა ფლანდენმა.—შეეხება მთელ რიგ ინტერესებს და ძნელია იმის გათვალისწინება, თუ როგორი წარმატებით დასრულდება ეს ლაშქრობა (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების გამოხმაურება საფრანგეთში

პარიზი, 22 ოქტომბერი. საფრანგეთის პრესა აქვეყნებს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობას, რომელშიაც მოყვანილია საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შინაარსი საბჭოთა საქონლის შეზიდვის ამკრძალველ ქვეყნების წინააღმდეგ ღონისძიებების შესახებ.

„პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ჩარიცხულია იმ ქვეყნებს შორის, რომელნიც მხედველობაში აქვს სახკომსაბჭოს დადგენილებას (ადს).

აფეთქება მაღარო „ვილჰელმ“-ში

ბერლინი, 22 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ მაღარო „ვილჰელმ“-ში (რურის ოლქი) მოხდა დინამიტის აფეთქება. მაღარო მთლიანად დანგრეულია. მახლობლად გაშენებულ სამთომადნო მუშათა საცხოვრებელ სახლებში ჩაიმტვრა ფანჯრები და ბევრგან სახლებს გადასძვრა სახურავები.

აფეთქების ხმა გაიგონეს რამოდენიმე კილომეტრით დაშორებულ ადგილებშიც. წინასწარი ცნობებით, აფეთქების დროს დაღუპულთა და დაზარალებულთა რიცხვი 200-დე აღწევს (ადს).

ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის მუშა-ხელით გეგმიანი უზრუნველყოფისა და მუშა-ხელის ცვალებადობასთან საბრძოლველად

(საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წ. 20 ოქტ. დადგენილებიდან)

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უდიდესმა წარმატებამ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სწრაფმა ტემპმა სრულიად მოსპო უმუშევრობა და დამატებით მოითხოვა მრავალი ასი ათასი მუშა. მუშა-ხელის ნაკლებობა მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა სექტორებში წელსვე გადაიქცა „ვიწრო ადგილად“, რომელიც აფერხებს სოციალისტური მშენებლობის სწრაფი ტემპებით განხორციელებას. ამ საკითხის გადაჭრა წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას, რომელიც მთელი სიმწვავით, პირველ ყოვლისა, შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების წინაშე წამოიჭრა.

მიუხედავად ამისა, შრომის სახალხო კომისარიატმა აშკარად ბიუროკრატიული დამოკიდებულება გამოიჩინა სამეურნეო ამოცანებისადმი და, საჭირო მუშა-ხელის სწრაფი განაწილების და გამოყენების ნაცვლად, იგი მრავალ ათას „უმუშევარს“ ათი მილიონი მანეთობით აძლევდა დახმარებას და არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა მოხეტიალების და სიმულიანტების წინააღმდეგ.

შრომის სახალხო კომისარიატის აპარატმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით და გამოიჩინეს უდიდესი კონსერვატიზმი მუშაობაში. სამმართველოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი ჩქმალავდა აპარატის და მუშა-ხელის მომზადების ძირითადი პრობლემის გადაჭრის დეფექტებს და ჩინოვნიკურ კმაყოფილებას იჩენდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ეს ფაქტები მიაჩნია საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ყოველი ხელმძღვანელობის მიერ მემარჯვენე ოპორტუნიზმის გამოსაშკარავებლად პრაქტიკაში.

მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა სექტორების მუშა-ხელით მომარაგების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. ვინაიდან სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგებისათვის (მეტალურგია, სამთო მრეწველობა, ქიმია, ტრანსპორტი, მშენებლობა) მეტად ნელი ტემპით და უგეგმოდ სწარმოებს მუშა-ხელის მომზადება, ამიტომ დაევალოთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, გზათა სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყონ ეს დარგები მუშა-ხელის გეგმიანი მომზადებით და განაწილებით, რისთვის გამოჰყონ პერსონალურად პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ საწარმოთათვის მუშების მომზადებას და მათ სწორით განაწილებას.

1931 წელს მრეწველობის ძირითად დარგებს სჭირდებათ დამატებით 1.300.000 მუშა და ეს საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს მუშების მომზადებით და გადამზადებით მრეწველობის, ტრანსპორტის და შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების მიერ საფაბრიკო-საქარხნო და გლეხური ახალგაზრდობის სკოლების საშუალებით, მუშების სასწრაფო მომზადებით მრეწველობაში, შრომის ცენტრალური ინსტიტუტის საშუალებით და მოკლევადიანი მომზადებით შრომის ორგანოების მიერ, აგრეთვე არსებული კადრების გადაყვანით უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე.

დაევალოთ საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს—ორი დეკადის ვადაში დასახონ 1931 წლისათვის, როგორც არსებულ, ისე მშენებლობის პროცესში მყოფ საწარმოთათვის მუშა ხელის მომზადების პრაქტიკული გეგმა და უზრუნველჰყონ ეს გეგმა მუშების სასწავლებლად და მათთვის სამსახურის გასაწევად (ბინები და სხ.) საჭირო სახსრებით.

2. სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობის გამო, წინადადება მიეცეს შრომის სახ. კომისარიატს, გარდა მშრომელთა იმ კატეგორიებისა, რომელთაც დღემდი რეგისტრაციის უფლება ჰქონდათ, აღრიცხვაზე აიყვანონ შრომის ორგანოებმა შემდეგი კატეგორიები:

1. მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრები, რომლებიც არ არიან პროფკავშირის წევრებად და რომელთაც შესწყვიტეს მუშაობა, მიუხედავად შეწყვეტის ხანგრძლივობისა.
2. მუშა-მოსამსახურეების შვილები, რომელთაც თუმცა არა აქვთ მიღებული სპეციალური განათლება, მაგრამ რომელნიც დაქირავებით მუშაობენ.
3. მუშა-მოსამსახურეების ცოლები და ქვრივები—პროფკავშირის არა წევრება, რომელთაც არა აქვთ მიღებული სპეციალური განათლება.
4. სარეწაო კოოპერაციის ის წევრები, რომლებიც წინად დაქირავებით მუშაობდნენ და მარტოხელა შინამრეწველების შვილები.
5. მოჯამაგირეები—პროფკავშირის არაწევრები და ღარიბი გლეხები—კოლმეურნეები.

რეგისტრაცია სწარმოებს მხოლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას და უმუშევრობისთვის არავითარ შეღავათს არ ანიჭებს. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს, საკავშირო პროფსაბჭოსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს რეგისტრაციაში გატარებულ პირთა სამუშაოზე გაგზავნის წესი, იმ პირობით კი, რომ სამრეწველო საწარმოებში გაიგზავნონ მუშებისა და შინამრეწველების ოჯახთა წევრები, სამრეწველო კოოპერაციის წევრები, მოჯამაგირეები და სოფლის ღარიბი გლეხები.

შეძლეულ სამუშაოზე უარის თქმის დროს რეგისტრაციაში გატარებულნი დაუყოვნებლივ მოიხსნებიან შრომის ორგანოების აღრიცხვიდან.

შრომის ბირჟები ორი დეკადის ვადაში გადაკეთდეს მუშა-ხელის მომზადების და გეგმიანი განაწილების სამმართველოებად.

3. სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგების კვალიფიციური მუშა-ხელით უზრუნველჰყოფის მიზნით, უფლება მიეცეთ საკავშირო შრომის სახ. კომისარიატს და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს, პროფკავშირებთან შეთანხმებით და სამეურნეო ორგანოების განცხადებათა მიხედვით, აწარმოონ კვალიფიციური მუშა ხელის და სპეციალისტების მოხსნა და გადაყვანა სახალხო მეურნეობის ნაკლებად მნიშვნელოვან დარგებიდან (საწარმონი და დაწესებულებანი) უფრო საპასუხისმგებლო დარგებში (ქვანახშირი, შავი მეტალურგია, ტრანსპორტი, მსხვილი კაპიტალური მშენებლობა) და რაიონიდან რაიონში.

4. დაევალოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შრომის სახალხო კომისარიატს და საკავშირო პროფსაბჭოს—აწარმოონ სისტემატიური მუშაობა მუშების კვალიფიკაციის გადასასინჯავად მათი უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანის მიზნით და ასწიონ მათი კვალიფიკაცია სპეციალურად მოწყობილი კურსების საშუალებით, სამეურნეო ორგანოების და პროფკავშირების მიერ საწარმოებში აღმოჩენილი კვალიფიციური მუშა-ხელი, რომელიც არ არის გამოყენებული სპეციალობის მიხედვით აღნიშნულ საწარმოში, უნდა განაწილდეს სხვა საწარმოებში შრომის ორგანოების მიერ შემოღებული წესის მიხედვით.

5. დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელნი, გადაყვანის დროს, დეფიციტიური პროფესიების არასწორად გამოყენებისათვის საწარმოს შიგნით, საწარმოებიდან მუშებისა და ტეხნიკური პერსონალის გადაბირებისათვის, შრომის ხელფასის გასტუმრების კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებული ნორმების დარღვევისათვის და მუშების აყვანისათვის გეგმით გათვალისწინებულ საჭიროების ზევით, აგრეთვე ტეხნიკური პერსონალი, რომელიც გადაყვანას გაურბის, მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში.

6. აღინიშნოს მუშებისა და ტეხნიკური პერსონალის შემადგენლობის დიდი ცვალებადობა და არასაკმაო ბრძოლა ამ მოვლენასთან, ამიტომ წინადადება მიეცეთ სამეურნეო ორგანოებსა და პროფკავშირებს—გაატარონ შემდეგი ზომები, რომლებიც მიმართულია მუშა-ხელისა და ტეხნიკური პერსონალის შემადგენლობის განმტკიცებისაკენ:

ა) წარმოებაში კვალიფიციურ მუშათა კადრების შენარჩუნების მიზნით, აიკრძალოს მახლობელი ორი წლის განმავლობაში დაზგის მუშების დაწინაურება ყოველგვარ სამმართველო აპარატებში და დატოვებულ იქნას ძალაში დაზგის მუშების დაწინაურება მხოლოდ საწარმოო და პროფესიონალური ხაზით.

ბ) ის მუშები და ტეხნიკური პერსონალი, რომლებიც მუშაობაში თავს გამოიჩენენ წარმოების საუკეთესო მუშაკებად (დამკვრელები, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი), რომელთა მუშაობაც უმაღლესი ღირსებისაა, რომელნიც ხანგრძლივად მუშაობენ განსაზღვრულ საწარმოში და შემოაქვთ სასარგებლო წინადადებანი და გამოგონებანი, წახალისებულ იქნან ბინების პირველ რიგში მიცემით, უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში, დასასვენებელ სახლებსა და კურორტებში გაგზავნით და უცხოეთში მივლინებით წარმოების ტეხნიკისა და ორგანიზაციის შესასწავლად, დეფიციტიანი საქონლის პირველ რიგში მიწოდებით და სხვა.

გ) დამკვრელ მუშის ოჯახის წევრებს (ცოლს, ქმარს, შვილებს) უპირატესობა უნდა ეძლეოდეთ იმ სამრეწველო საწარმოებში მიღებისას, სადაც ოჯახის წევრები მუშაობენ. ისინი უპირატესობით სარგებლობენ კურსებზე, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში და სხვაგვარ მიღებისას.

7. ის მუშები, რომელნიც ორ წელიწადს იმუშავებენ, დაწყებული 1930 წლის 1 ნოემბრიდან, სამთო და ქიმიური მრეწველობაში, სამშენებლო მასალის მრეწველობაში და დიდ მშენებლობაში, მიიღებენ, კანონით დაწესებული შვებულების გარდა, დამატებით სამი სამუშაო დღის შვებულებას ან ფულად კომპენსაციას სამი დღის ხელფასის რაოდენობით. ის მუშები, რომელნიც მუშაობენ საფეიქრო მრეწველობაში და ტრანსპორტში, კანონით დაწესებული შვებულების გარდა, მიიღებენ დამატებით სამი სამუშაო დღის შვებულებას ან ფულად კომპენსაციას სამი დღის ხელფასის რაოდენობით.

8. დაევალოთ საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს, სმუ საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად, 1931 წლის 1 იანვრისათვის შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებანი ერთისა და იმავე კვალიფიკაციის მუშების ხელფასის გასტუმრებაში სხვადასხვაობის აღმოსაფხვრელად როგორც ერთსა და იმავე საწარმოში, ისე ერთისა და იმავე რაიონის სხვადასხვა საწარმოში.

დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს, სმუ საბჭოსთან ერთად, მოამზადოს კადრები შრომის ტეხნიკური დანორმვისათვის საწარმოებში და გააძლიეროს შრომის ორგანოების კონტროლი საწარმოებში შრომის ტეხნიკური დანორმვის მოგვარების საქმეში. ამ მიზნით გაძლიერებულ იქნან შრომის ორგანოების კადრები სპეციალური კურსების მოწყობის საშუალებით.

9. აღინიშნოს ისეთი შემთხვევები, როდესაც სამრეწველო საწარმოებში თავმოყრილნი არიან სოციალურად უცხო ელემენტები და წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს, სმუ საბჭოსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად, მიიღოს ზომები მათი გაძევებისათვის.

დეზერტირებსა და მოხეტიალეებს ერთმევათ სამრეწველო საწარმოებში სამუშაოზე გაგზავნის უფლება ექვსი თვის ვადის განმავლობაში.

დაევალოს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს—გადასინჯოს შინაგანი განწესრიგების წესები და სასჯელთა ტაბელი იმ მიმართულებით, რომ გადასინჯვამ ხელი შეუწყოს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის რაციონალურად გამოყენებას, საწარმოში მუშათა შემადგენლობის განმტკიცებისათვის სტიმულის შექმნას.

10. აღინიშნოს მასიური მოვლენა დამკვრელ მუშათა მოწინავე ჯგუფების თვითმიმაგრებისა ხუთწლედის დამთავრებამდე, ყოველნაირად წახალისებულ იქნას მუშების ეს ინიციატივა და დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს, ჩაატაროს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშათა მასებს შორის ამის შესახებ, რომ ამ ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო-საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და თვალყური ადევნოს იმას, რომ ეს ხდებოდეს ნებაყოფლობის საფუძველზე, არავითარ შემთხვევაში დაშვებულ არ უნდა იქნას ამით კოლექტიური ხელშეკრულებების შეცვლა და ადმინისტრატიული ზეგავლენა.

11. აღინიშნოს შრომის ორგანოების აპარატის კვალიფიციურ პარტმუშაკთა მეტად არადამაკმაყოფილებელი შემადგენლობა და დაევალოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შეიმუშაოს ღონისძიებანი როგორც საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის, ისე მისი ადგილობრივი ორგანოების განმტკიცებისათვის კვალიფიციური პარტმუშაკებით.

12. შრომის ორგანოებში პროფკავშირთა პრაქტიკული მუშაობის გასაძლიერებლად, დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს—შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი შრომის ორგანოების მუშაობაში მუშათა მასების ჩაბმისათვის და მაქსიმალურად დაუახლოვოს ისინი შრომის სახალხო კომისარიატის უშუალო ოპერატიულ მუშაობას (მუშებისა და სპეციალისტების კვალიფიციური კადრების მომზადება, შრომის დაცვის საკითხები, სატარიფო და რაციონალიზატორული მუშაობა).

13. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს, ამ დადგენილებასთან შეფარდებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და ცხოვრებაში გაატაროს ცვლილებები შრომისა და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობაში.

პარტიულ-მასიური მუშაობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამოქმედო რაიონებში

(საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება)

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ერთი წლის მუშაობამ სავსებით ნათელჰყო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და სატრაქტორო ცენტრის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. მოწინავე ტეხნიკით აღჭურვილი სამანქანო- სატრაქტორო სადგურები, მკაფიო ბოლშევიკური ხაზის და მუშაობის ბოლშევიკური ტემპების განხორციელების საფუძველზე, ნამდვილად გადაიქცნენ მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ პუნქტებად.

ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით ხაზს ოსვამს სამანქანო- სატრაქტორო სადგურების დამრაზმავ როლს პურის დამზადებასა და კოლმეურნეობათა საქონლიანობის გადიდების საქმეში სამანქანო- სატრაქტორო სადგურების სამოქმედო რაიონებში. მიუხედავად ამისა, მთელი ეს წარმატება ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შეთავსებული ფართო მასიურ მუშაობასთან, რის გამო შეუძლებელი იყო ფართოდ გაშლილიყო როგორც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, ისე სატრაქტორო ცენტრის პოლიტიკური მნიშვნელობა.

სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მშენებლობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა უკანასკნელ დრომდე საკმაოდ ვერ შეაფასეს სამანქანო- სატრაქტორო სადგურების, როგორც სოფლის მსხვილი საწარმოო და პოლიტიკური ცენტრის როლი, ვერ მოუყარეს თავი სოფლის საუკეთესო ძალებს, ვერ დარაზმეს მუშათა და გლეხთა ფართო მასების ყურადღება სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მუშაობის ირგვლივ, რის გამოც ვერ უზრუნველჰყვეს შესრულება ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 9 სექტემბრის დადგენილებისა „სამანქანო- სატრაქტორო სადგურების სამოქმედო რაიონების სამაგალითო რაიონებად გადაქცევის შესახებ ყველა აქედან გამომდინარე ამოცანებით“.

ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევს სამანქანო- სატრაქტორო სადგურებს და სატრაქტორო ცენტრის მუშაობას, განსაკუთრებით, მრავალი ასი ახალი სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს სატრაქტორო ცენტრს და ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, — ფართოდ გაშალონ პოლიტიკური მასიური მუშაობა სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მშენებლობის ირგვლივ, გადაჭრით ებრძოლონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის არა საკმაოდ შეფასების და მუშაობისადმი ვიწრო—ტეხნიკური მიდგომის შემთხვევებს.

1. ვინაიდან სამანქანო- სატრაქტორო სადგურებმა, რომლებიც თავს უყრიან პროლეტარულ კადრებს (მექანიკოსებს, ზეინკლებს და სხვ.), დიდი როლი უნდა ითამაშონ სოფლის პარტორგანიზაციის განმტკიცების საქმეში, წინადადება მიეცეთ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს — განამტკიცონ სამანქანო- სატრაქტორო სადგურების სამოქმედო რაიონების პარტორგანიზაციები კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით და უზრუნველჰყონ ამ რაიონებში მთელი მასიური პარტიული მუშაობის გარდაქმნა პირით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისაკენ.

2. სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მოქმედება აგებულ იქნას კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა თვითმოქმედების მაქსიმალური განვითარების საფუძველზე; ისინი თვითკრიტიკის საფუძველზე აქტიურად ჩაბმულ იქნან სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მუშაობაში, პირველ რიგში ძირითადი საწარმოო საკითხების გადაჭრის დროს და შეიქმნას მტკიცე აქტივი მოწინავე მოჯამაგირეებისა და ღარიბი და საშუალო გლეხებისაგან. სამანქანო- სატრაქტორო სადგურებმა პერიოდულად უნდა მოიწვიონ კოლმეურნეთა საწარმოო კონფერენციები, მოაგვარონ საწარმოო საბჭოების სისტემატიური მუშაობა, მოაწყონ საწარმოო თათბირები ყველა კოლმეურნეობებში, სექციები მეურნეობის ცალკე დარგებში, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, უზრუნველჰყონ შეჯიბრებისა და დამკვრელობის მიმდინარეობისა და მიღწევების ფართო პოპულარიზაცია კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მასების წინაშე.

3. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სამანქანო- სატრაქტორო სადგურების კულტურულ- საგანმანათლებლო მუშაობის გაშლას, სამანქანო- სატრაქტორო სადგურები უნდა გადაიქცნენ კულტურული რევოლიუციის კერად სოფელში.

ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ ტრაქტორცენტრთან და განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშავოს ღონისძიებათა სისტემა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის და სამანქანო- სატრაქტორო სადგურების რაიონებში კულტურულ- საყოფაცხოვრებო დაწესებულებების (გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, რადიოფიკაცია, კინო-ტელეფონიზაცია, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და სხვ.) მოწყობისათვის და ფართოდ ჩააბას მთელ ამ მუშაობაში საბჭოთა სოფლის ინტელიგენცია, პირველ ყოვლისა მასწავლებლობა.

4. ვინაიდან ტრაქტორცენტრი იწყებს ახალი სამანქანო- სატრაქტორო სადგურების ფართო მშენებლობას, წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, საკოლმეურნეო სისტემას და ტრაქტორცენტრს, მასებში სამანქანო- სატრაქტორო სადგურების როლისა და მუშაობის პოპულიარიზაციის მიზნით, ჩაატარონ ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში ყველა სამანქანო- სატრაქტორო სადგურების ანგარიშგების კამპანია იმ კოლმეურნეობების წინაშე, რომლებსაც ისინი ემსახურებიან; ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნას აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეთა (მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა) მთელი მასა, ამავე დროს გაიშალოს ფართო მასიური მოსამზადებელი მუშაობა ახალი სადგურების მიერ ხელშეკრულებათა დადების საქმეში და ხელშეკრულებათა დადება გადაქცეულ იქნას დაკვრითი ბოლშევიკურ კამპანიად სამანქანო- სატრაქტორო სადგურების საფუძველზე კოლმეურნეობებში ახალი წევრების მასიურად მიღებისათვის.

5. აღინიშნოს კომკავშირის გამორკვეული უდიდესი როლი სამანქანო- სატრაქტორო სადგურებში წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში (კვალიფიციური მუშა-ხელის შერჩევა და მომზადება, დამკვრელობის გაშლა, პოლიტიკური და მასიური მუშაობა) და მხედველობაში მიღებულ იქნას კომკავშირის ორგანიზაციების ჯერ კიდევ სუსტი მონაწილეობა სამანქანო -სატრაქტორო სადგურების საწარმოო-მასიურ მუშაობაში, ამიტომ წინადადება მიეცეს საკ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მუშაობაში კომკავშირის მონაწილეობის აქტივობის გაძლიერებისათვის.

6. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს მთელ რიგ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სადგურების ოპერატიულ- სამეურნეო მოქმედებაში ერევიან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები (ტრაქტორების სხვაგან გადაგზავნა, დირექტორებისა და აგრონომების მობილიზაცია მინდვრის გაჩაღებული მუშაობის დროს და სხვ.), რომელნიც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიმართ იყენებენ ადმინისტრატიული ზეგავლენის დაუშვებელ მეთოდებს; ამიტომ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს— გადაჭრით აღმოფხვრან ასეთი მოვლენები და უზრუნველჰყონ ნორმალური პირობები სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მუშაობისათვის ერთმმართველობის პრინციპის გასატარებლად.

7. წინადადება მიეცეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესას— ფართოდ გააშუქოს ტრაქტოროცენტრის და სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მუშაობა და ამ საქმეში ჩააბას სამანქანო- სატრაქტორო სადგურების ქვედა საფეხურის მუშაკები და საკოლმეურნეო აქტივი. „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“-მ დეკადაში ერთხელ მაინც უნდა მოათავსოს სპეციალური ფურცლები, რომლებშიაც გაშუქებულ უნდა იქნას ტრაქტორცენტრის მუშაობა და ადგილობრივი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გამოცდილება.

8. ცენტრალური კომიტეტი მიაქცევს ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღებას იმაზე, რომ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაუდევრად ხდება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების შერჩევა, და წინადადებას აძლევს მათ— 2 თვის ვადაში, ტრაქტორცენტრთან ერთად, შეამოწმონ სამანქანო-სატრაქტორო -სადგურების სამეურნეო კადრები და უზრუნველჰყონ მათი ნამდვილად განმტკიცება უვარგისი კადრების შეცვლით და საკმაო პოლიტიკურ- სამეურნეო მომზადების მქონე კადრების გაგზავნით (ადს).

პარასკევს, 24 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 საათზე
შესდგება
სრ. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
წევრთა და კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.
ს. ს. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებები შეუთავსებელია საკ. კომპარტიის წევრობასთან

მატყუარები და გამცემლები—შორს ლენინის პარტიიდან

„ყრილობა მოითხოვს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადებ საგან **სამ რამეს**

პირველი: რათა ისინი მიხვდნენ, რომ პარტიის ხაზსა და იმ ხაზს შორის, რომელსაც ისინი იცავენ, უფსკრული ძევს. რომ ხაზს, რომელსაც ისინი იცავენ ობიექტურად მივყევართ არა სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, არამედ კაპიტალიზმის გამარჯვებისაკენ

მეორე: რათა მათ დაგმონ ეს ხაზი როგორც ანტილენინური და გაიმიჯნონ მისგან აშკარად და პატიოსნად

მესამე: რათა ჩვენთან მხარდამხარ დადგნენ და ჩვენთან ერთად გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ ყველა და ყოველგვარი მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ

შესძლებენ ამას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფ. ბელადები—კარგია, ვერ შესძლებენ, დეე, თავის თავს დააბრალონ“ (სტალინი)

თბ. საწარმოების მუშა-ბოლშევიკები მოითხოვენ. ამხ. ბუხარინმა და მემარჯვენე ოპოზიციის სხვა ლიდერებმა პარტიას გარკვეული პასუხი უნდა მისცენ—პარტიასთან ან რიუტინთან

კულაკების აგენტები—შორს პარტიიდან

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას —მემარჯვენე ოპორტუნისტის—რიუტინის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ—ფართოდ გამოეხმაურენ პარტიული მასები.

ამხ. რიუტინის გამორიცხვასთან დაკავშირებით პარტუჯრედების მიერ გამოტანილი რეზოლიუციები, საუკეთესოდ ცხადყოფენ იმ გარემოებას, რომ პარტიული მასები მტკიცედ დგანან პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე.

პარტუჯრედები ერთსულოვნად იწონებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას რიუტინის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ააშკარავებენ ბურჟუაზიის აგენტებს,—მემარჯვენეებს, ანტი-ლენინურ შეხედულებებს და მათ კავშირს მავნებელთა იდეოლოგიასთან. მიუხედავად იმისა, რომ მე-16 პარტყრილობამ მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებები შეუთავსებლად სცნო კომპარტიის (ბ) წევრობასთან, გუშინდელი მემარჯვენეები კვლავ განაგრძობენ თავის დამრღვევ მუშაობას. ზოგიერთები, რიუტინის მსგავსად პარტიისადმი მოღალატეობის აშკარა გზას ადგებიან.

სავსებით სწორად სთქვა ამიტომ მე-16 ყრილობამ, რომ „ყველა ჯურის ოპორტუნისტები, განსაკუთრებით მემარჯვენეები, მიმართავენ ახალ მანევრს, რომელიც გამოიხატება თავიანთი შეცდომების ფორმალურად აღიარებაში და პარტიის გენერალური ხაზთან ფორმალურ თანხმობაში, ხოლო შეცდომების აღიარებას არ ამტკიცებენ გენერალური ხაზისათვის მუშაობით და ბრძოლით, რაც სინამდვილეში მოასწავებს, მხოლოდ გადასვლას აშკარა ბრძოლიდან პარტიის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლაზე ან უფრო ხელსაყრელ მომენტის მოლოდინში პარტიაზე იერიშის განახლებისათვის“.

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტები კავშირს აბამენ კონდრატიევ-გრომანის კონტრრევოლიუციონურ მავნებელ ჯგუფებთან და ამგვარად უკავშირდებიან პროლეტარიატის დიქტატურის მოსისხლე მტრებს. ასეთი იყო ყოველთვის ანტილენინურ გადახრების ბედი და ასე მოსდით მემარჯვენეებსაც. ორპიროვნობის, გამცემლობის და მოღალატეობის საუკეთესო მაგალითი მოგვცა რიუტინმა. მან სიტყვით აღიარა თავისი შეცდომები, განაცხადა, რომ ის გაატარებს პარტიის გენერალურ ხაზს. მაგრამ სინამდვილეში კი ფარულად, პარტიის ზურგს უკან დაიწყო ანტიპარტიული საქმიანობა.

პარტიული უჯრედები იწონებენ რა რიუტინის გაძევებას პარტიიდან, ღრმა აღშფოთებას გამოხატავენ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის და თეორეტიკოსის ამხ. ბუხარინის დაჟინებითი დუმილის წინააღმდეგ.

თბილისის პარტორგანიზაციის მთელი რიგი უჯრედების მიერ მიღებულ დადგენილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამხ. ბუხარინმა და მემარჯვენე ოპოზიციის სხვა ბელადებმა გარკვეული პასუხი უნდა მისცენ პარტიას.

ამხ. ბუხარინი კი, ნაცვლად იმისა, რომ ენერგიული ბრძოლა ჩაეტარებინა მემარჯვენეების წინააღმდეგ და შეურყევლად გაეტარებინა პარტიის გენერალური ხაზი—სდუმს; მისი დუმილი, დღევანდელ პერიოდში, სტიმულს აძლევს მემარჯვენე ოპორტუნიზმს და აბრკოლებს კონდრატიევ-გრომანის კონტრრევოლიუციონური ჯგუფის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.

თბილისის ბოლშევიკები მოითხოვენ ამხ. ბუხარინისაგან სწორს და გარკვეულ პასუხს: როგორია მისი დამოკიდებულება პარტიის პოლიტიკისადმი. ვისთან არის ის: პარტიასთან, თუ მოღალატე რიუტინთან.

ლ. ხ.

მემარჯვენე ოპორტუნისტები უნდა განიდევნონ ლენინის პარტიიდან

(პირველი სტამბა)

პირველი სტამბის კომუჯრედის ღია კრებამ მოისმინა მოხსენება მემარჯვენე ოპორტუნისტების მუშაობის და რიუტინის კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ. გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ პირველი სტამბის კომუჯრედის ღია კრება მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას მემარჯვენე ოპორტუნისტის და გამცემის რიუტინის პარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ. უჯრედს დაუშვებლად მიაჩნია ამხ. ბუხარინის დაჟინებითი დუმილი. ამხ. ბუხარინს დღემდე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ უღიარებია თავისი შეცდომები. კრება კატეგორიულად მოითხოვს ამხ. ბუხარინისაგან, რომ მან გარკვევით სთქვას ვისთან არის—პარტიასთან თუ რიუტინთან.

სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, ჩვენ, პირველი სტამბის მუშები კიდევ მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ 5 წლედის ოთხ წელიწადში გადაჭარბებით შესრულებისათვის. კიდევ უფრო განვამტკიცებთ საწარმოო დისციპლინას, ავსწევთ შრომის ნაყოფიერებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას მთავარი საფრთხის—მემარჯვენე გადახრის და ტროცკიზმის ნამსხვრევების წინააღმდეგ.

ჯ—ნი.

მოვითხოვთ გარკვეულ პასუხს

(„თელასი“)

21 ოქტომბერს შესდგა „თელასის“ კომუჯრედის ღია კრება—კომკავშირთან და უპარტიო მუშა-მოსამსახურეებთან ერთად. კრებამ მოისმინა ამხ. გრიგორიანის ინფორმაცია მემარჯვენე ოპორტუნისტის, პარტიის გამცემ რიუტინის კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ.

ამხ. გრიგორიანმა კრებას გააცნო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება რიუტინის კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ.

გამართულ კამათის დროს გამოვიდა 20 მუშა, რომლებიც იწონებდენ რიუტინის გამორიცხვას ლენინის პარტიიდან. მუშები აცხადებდენ: პარტიამ საკმაო დრო და საშუალება მისცა ამხ. ბუხარინს გარკვეული სიტყვა ეთქვა მისი დამოკიდებულების შესახებ პარტიის პოლიტიკისადმი. ამხ. ბუხარინი დაჟინებით სდუმს, მას არ სურს დროზე გარკვეული პასუხი მისცეს პარტიას; ამით ამხ. ბუხარინი კიდევ უფრო აძლიერებს მემარჯვენე ოპორტუნისტების პრაქტიკას. ამხ. ბუხარინმა უნდა სთქვას გარკვეული სიტყვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს მე-16 პარტყრილობის დადგენილება: „მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებებს ყრილობა აცხადებს საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად“.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია.

ლენინის რაიონის პარტკონფერენცია პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე

საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობამ სავსებით სწორად და დროულად მიაქცია მთელი პარტიის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ყველა ჯურის ოპორტუნისტები, განსაკუთრებით მემარჯვენეები მიმართავენ ახალ ხერხს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ფორმალურად აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და ფორმალურად ეთანხმებიან პარტიის გენერალურ ხაზს, მაგრამ ამ აღიარებას არ ადასტურებენ მუშაობით და ბრძოლით პარტიის გენერალური ხაზისათვის, რაც ფაქტიურად მოასწავებს პარტიის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლიდან ფარულ ბრძოლაზე გადასვლას ან ხელსაყრელ მომენტის ცდას პარტიაზე ახალი იერიშის მისატანად.

მიუხედავად ამისა, მემარჯვენე ოპორტუნისტები განაგრძობენ ორპირობას, ფრაქციულ მუშაობას და ცდის ტაქტიკას.

ლენრაიონის მე-18 პარტკონფერენცია მოუწოდებს მთელ რაიონის პარტიულ ორგანიზაციას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ასეთ ორპირობას და მოტყუებას და მოსთხოვოს ყველა იმათ, ვინც შეცდომები აღიარა, პარტიის გენერალური ხაზის დაცვა, თავიანთი გულწრფელობის დამტკიცება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს გადამწყვეტი ორგანიზაციული ზომები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ლენრაიონის მე-18 პარტკონფერენცია მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას მემარჯვენე ოპორტუნისტის, ორ სკამზე მჯდომის, კულაკების აგენტის და მოღალატე რიუტინის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, აბსოლუტურად დაუშვებლად სთვლის მემარჯვენე ოპოზიციის ზოგიერთ ყოფილ ბელადის, კერძოდ ამხ. ბუხარინის დუმილს და მოითხოვს მისგან თავიანთი შეცდომების აშკარად და სავსებით აღიარებას, ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი დამოკიდებულების არა ორჭოფულად, არამედ გულწრფელად და პატიოსნად გამოაშკარავებას.

პარტიის ლენინური გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ სისტემატიური და შეუსუსტებელი ბრძოლის გასაგრძელებლად, სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანების წარმატებით შესასრულებლად ლენრაიონის მე-18 პარტკონფერენცია მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს გააძლიერონ მასიური პოლიტიკური მუშაობა მუშათა და მშრომელთა ფართო მასებს შორის, გადამწყვეტი ბრძოლა კლასობრივ მტერთან, მის თვალთმაქც და მოღალატე აგენტურასთან პარტიის შიგნით, მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, ერთსულოვნად და ნამდვილად დაიცვან პარტიის გენერალური ხაზი და შეურიგებელი ბოლშევიკური ბრძოლა გამოუცხადონ ყოველგვარ გადახრას ლენინიზმიდან.

გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და საკ. კ. პ. (ბ) ბელადს ამხ. სტალინს.

ამხ. ბუხარინის დუმილი—აძლიერებს ოპორტუნისტულ პრაქტიკას

(სტამბა „კოლექტივი“)

21 ოქტომბერს მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა სტამბა „კოლექტივის“ კომუჯრედის ღია კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. პ. საყვარელიძემ—5 წლედის მესამე წლის ამოცანების და მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 5 წლედის მესამე წელი გადამწყვეტია 5 წლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებისათვის. ამ უდიდესი სოციალისტური მშენებლობის წინ სვლის დროს ბევრ ადგილას თავს იჩენს მემარჯვენე ოპორტუნიზმი. მემარჯვენე ოპორტუნისტებს პარტიამ სათანადო პასუხი გასცა. მემარჯვენეებმა და მათ მოკავშირე „მემარცხენეებმა“ მუშათა კლასის უდიდესი რისხვა დაიმსახურეს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდენ მემარჯვენე ბელადის ამხ. ბუხარინისაგან, რომ მან გარკვეული სიტყვა სთქვას და საქმით დაამტკიცოს, რომ ატარებს პარტიის გენერალურ ხაზს.

კამათის და საბოლოო სიტყვის დამთავრების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: „სტამბა „კოლექტივის“ კომუჯრედის ღია კრება მთლიანად და სავსებით იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას რიუტინის გამორიცხვის შესახებ კომპარტიის რიგებიდან. კრება აღნიშნავს, რომ ამხ. ბუხარინის დაჟინებითი დუმილი სტიმულს აძლევს ოპორტუნისტულ პრაქტიკას. უჯრედის ღია კრება ბოლშევიკურ სიტყვას იძლევა, რომ ისინი შეურყევლად გაატარებენ პარტიის გენერალურ ხაზს, რომელიც მოცემულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიმართვებში.

ა. ჩ—ნი.

შეურყევლად გავატაროთ პარტიის გენერ. ხაზი

(აბრეშუმის ქაფსალები ფაბრიკა)

აბრეშუმის ქაფ-სალები ფაბრიკის კომუჯრედის და კომკავშირის ღია კრებამ მოისმინა ცნობა რიუტინის პარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 16 მუშამ, რომლებიც იწონებდენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას მემარჯვენე ოპორტუნისტის, პარტიის გამცემ—რიუტინის საკავშირო კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ.

მუშა ბოლშევიკები მოითხოვდენ, მემარჯვენე ოპორტუნიზმის ყოფილ ბელად და თეორეტიკოსის ბუხარინისაგან გარკვეულ პასუხს—სდგას თუ არა ის პარტიის გენერალური ხაზის გატარების სადარაჯოზე. დროა ამხ. ბუხარინმა, მის ამდენი ხნის დაჟინებითი დუმილის შემდეგ, აშკარად განაცხადოს, თუ ვისთან არის ის—პარტიასთან თუ რიუტინთან.

კრებაზე გამოვიდნენ უპარტიო მუშები და განაცხადეს: ჩვენ, ფაბრიკის უპარტიო მუშები, სიტყვას ვიძლევით, რომ პარტიასთან ერთად ვიბრძოლებთ სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო მაღალ ტემპებისათვის. ფაბრიკის დამკვრელ მუშებმა—12 კაცმა,—განცხადება შემოიტანეს პარტიაში მიღების შესახებ.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კრება მთლიანად იწონებს და უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას რიუტინის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. პარტიამ უნდა მოსთხოვოს ამხ. ბუხარინს, რომ მან სთქვას გარკვეული სიტყვა—სდგას თუ არა ის პარტიის გენერალური ხაზის გატარების სადარაჯოზე. ამხ. ბუხარინმა საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ის იცავს პარტიის გენერალურ ხაზს, წინააღმდეგ შემთხვევაში გატარებულ უნდა იქნეს მე-16 პარტყრილობის დადგენილება: „მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებები შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან“.

დ. ჯ—ძე.

გამცემლების წინააღმდეგ

დავრაზმოთ პარტიული მასები

(ა.-კ. კომუნივერსიტეტი)

26-ის სახელობის ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის კომუჯრედების გაერთიანებულ ღია კრებამ მოისმინა მოხსენება რიუტინის პარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

26-ის სახელობის ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის პარტკოლექტივის საერთო ღია კრება ზიზღით აღნიშნავს რიუტინის გამცემლურ ორპიროვნობას, როგორც ღალატს პროლეტარულ რევოლიუციისათვის, და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას, და მოითხოვს მის პროლეტარული დიქტატურის სასამართლოსათვის გადაცემას კონტრ-რევოლიუციონერ ტროცკისტებთან კავშირის დაჭერისათვის.

იმ დროს, როცა ჩვენ გადავდივართ ხუთწლედის გარდამწყვეტ მესამე წელში, პარტიამ უნდა მოსთხოვოს ყველა თავის წევრს ლენინური რკინის დისციპლინის გამოჩენა და თავიანთი რიგების მჭიდროდ შეკავშირება ჩვენი პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

კრება ზიზღითა და აღშფოთებით აღნიშნავს მემარჯვენე გადახრის ყოფილი ლიდერისა და იდეური ბელადის ნ. ი. ბუხარინის დაჟინებით დუმილს, რომელმაც არა თუ არ გამოააშკარავა თავისი პოზიცია საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობის დროს და მას შემდეგ, არამედ განაგრძობს დუმილს იმ დროს, როცა მისი აქტიური მიმდევრები ახდენენ კონტრრევოლიუციონურ ცდებს შექმნან მემარჯვენე უკლონისტებისა და ტროცკისტების მტრული ძალების ბლოკი და მიმართონ ეს უკანასკნელი სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარების წინააღმდეგ.

პარტიამ გადაჭრით და კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს ამხ. ბუხარინს, რომ მან ნათლად და გარკვევით გამოამჟღავნოს თავისი პოზიცია და საქმით დაამტკიცოს პარტიის ლენინური ხაზისადმი ერთგულება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მის მიმართ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობის დადგენილება მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებების შეუთავსებლობის შესახებ პარტიაში ყოფნასთან.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის პარტკოლექტივი გამოსთქვამს თავის მკაცრ შეურიგებლობას პრაქტიკაში მემარჯვენე გადახრის გამტარებლებისა და იმათ მიმართ, ვინც ხელს აფარებს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში კონტრრევოლიუციონური „კონდრატიევშჩინის“ მიმდევრების ყოფნას, და მოითხოვს ასეთთა წინააღმდეგ უსასტიკეს ზომების მიღებას.

უჯრედი ენერგიულად ამხელს და გამოაშკარავებს ყველა ფარულ მემარჯვენე უკლონისტებს და „მემარცხენე“ გადამხვევლებს და აწარმოებს მათ წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას. განსაკუთრებით უჯრედი გამოამჟღავნებს კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის ფარულ ნაშთებს და სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს მათ.

აშკარა და ფარული მემარჯვენე უკლონიზმის წინააღმდეგ თეორიასა და პრაქტიკაში!

გამცემლური ორპიროვნობის წინააღმდეგ!

მემარჯვენე გადახრის ყოფილი ბელადის ნ. ი. ბუხარინის ეჭვების აღმძვრელი დუმილის წინააღმდეგ!

კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის ჩაჩუმებული ნაშთების წინააღმდეგ!

ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობისათვის!

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის!

ლენინის პარტიის ფოლადისებური მთლიანობისათვის!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ც. კ.-ისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიისათვის!

ვამუშავებთ ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვას

მეცნიერული კადრების მომზადება ყურადღების ცენტრში

(ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი)

ამას წინად, ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის პარტუჯრედმა დამუშავა ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის 4 ოქტომბრის მიმართვა. მოხსენების გარშემო კამათის დამთავრების და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვა, რომელიც წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ და ამიერ-კავკასიის პირობების შესაფერისად კონკრეტულ ფორმაში ჩამოყალიბებულ იმ ამოცანათა დოკუმენტს, რომელიც დასმული იყო საკავშ. კომპ. (ბ) ცენტ. კომიტეტის 3 სექტემბრის მიმართვაში, დროულად და სწორად რაზმავს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის მთელს ყურადღებას იმ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ-ამოცანების გარშემო, რომელთაც აყენებს ამ ეტაპზე სოციალისტური მშენებლობა.

გამოსწორებულია საერთოდ გადახვევები, რაც დაშვებული იყო სოფლად კოლექტივიზაციის გატარების დროს, და საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცების საფუძველზე შექმნილია ურყევი პოლიტიკური მდგომარეობა სოფლად.

ამ წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების საფუძველზე, ბრძოლის ორ ფრონტზე გაშლის საფუძველზე: მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, „მემარცხენე“ გადახვევათა და ტროცკიზმის და აგრეთვე ამ გადახრებისადმი შემარიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ.

მიმართვა ნათლად და გარკვევით აყენებს საკითხს ნაციონალური გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ის იძლევა ამიერ-კავკასიის პირობებში დიდმპყრობელური გადახრის— ამ ეტაპზე ამ უმთავრესი საფრთხის —და აგრეთვე ადგილობრივი ნაციონალური გადახრის გამოხატულებას ცალკ. ფორმების ღრმა ანალიზს.

ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვა ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციებისადმი მუშაობის ძირითადად და გადაჭრით გარდაქმნის შესახებ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში აყენებს ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის წინაშე მთელ რიგ სპეციფიურ ამოცანებს.

ამიერ-კავკასიის პირობებში, სადაც არ არის მარქსიზმისა და ლენინიზმის ცალკე ინსტიტუტი, ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი არსებითად ხდება ისეთ თეორეტიულ ცენტრად, რომ ეს ავალდებულებს მას დარაზმოს მის გარშემო ეკონომისტთა ყველა კომუნისტური და მარქსისტულ-ლენინური ძალები სისტემატიური ბრძოლის საწარმოებლად და ამ ბრძოლის გასაძლიერებლად ყოველგვარ ანტიმარქსისტულ- ლენინურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რანაირ ფორმაშიაც არ უნდა გვევლინებოდეს ეს მიმდინარეობანი.

გადაიქცეს ბოლშევიკური თვითკრიტიკა და სოცშეჯიბრება ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის მთელი მუშაობის მეთოდად, რისთვისაც გამოაცხადოს მან თავი დამკვრელად მუშაობის მთელი დასახული გეგმის გატარებლად ცხოვრებაში, რომლის დროსაც ყურადღება უნდა ექცეოდეს ამ მუშაობის არა მარტო რაოდენობას, არამედ, რაც უმთავრესია, მის ხარისხსაც. ამ მიზნით მოეწყოს სოცშეჯიბრება ინსტიტუტის ცალკე სექციებს შორის, ერთის მხრით, და საერთოდ ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტსა და ამიერ-კავკასიის დანარჩენ სამეცნიერო -საგამოკვლეო დაწესებულებათა შორის— მეორე მხრით.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მუშაობის ხარისხი და ტემპი, რომ შერჩეულ იქნას დასამუშავებლად პირველ რიგში აქტუალური ეკონომიური საკითხები, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის კონკრეტული ეკონომიკის დარგიდან, ინსტიტუტი უნდა შეუდგეს შემხვედრ სამრეწველო- საფინანსო გეგმის შედგენას.

კადრების მომზადების პრობლემის მთელი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის პირობებში, მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას ზომები ასპირანტურის ინსტიტუტის სასწავლო მუშაობის დაყენების გასაუმჯობესებლად, რომ შეიქმნას სათანადო პირობები მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობისათვის, რისთვისაც ისევ დაისვას საკითხი სადირექტივო ორგანოების წინაშე ასპირანტურისათვის განსაკუთრებული შენობის გამოსაყოფად, რომელშიაც უნდა ხდებოდეს, როგორც მეცადინეობა, ისე უნდა იყოს მოთავსებული საერთო საცხოვრებელი.

ჩატარებულ იქნას სოცშეჯიბრება ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის ასპირანტურასა და ა.-კ. კომუნივერსიტეტის ასპირანტურას შორის სათანადო მარქსისტული კადრების საუკეთესოდ მომზადების შესახებ, რაც უნდა შეეხებოდეს, როგორც გეგმების დარგს, ისე სამეცნიერო- საგამოკვლეო, პედაგოგიურ მუშაობას სამეცნიერო- საგამოკვლეო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირის დამყარების მიზნით, შემოღებულ იქნას წესად ასპირანტებისა და სამეცნიერო მომუშავეთა მიმაგრება მსხვილ საწარმოებზე, რომ ამგვარად ხდებოდეს სამრეწველო- საფინანსო გეგმის გატარების შედეგის სისტემატიური შესწავლა და აგრეთვე მუშაობის ახალი მეთოდების შესწავლა, როგორიცაა: სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, შემხვედრი სამრეწველო- საფინანსო გეგმა და სხვა.

იმ მიზნით, რომ მომზადდეს სამეცნიერო მუშაკები მუშათა რიგებიდან—დაჩქარებულ იქნას ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის უჯრედის დადგენილების რეალიზაცია ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის ასპირანტურის ინსტიტუტთან ერთწლიანი მოსამზადებელი განყოფილების მოწყობის შესახებ მუშებისათვის.

იმ მიზნით, რომ ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტს მუშაობის ამ დაკვრითი ტემპების განხორციელებაში აღმოეჩინოს დახმარება, მოეწყოს წინადადებათა სისტემატ. შეგროვება ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის ყველა თანამშრომლებს შორის — როგორც სამეცნიერო მუშაკებსა და ასპირანტებს შორის, ისე ადმინისტრატიულ- ტექნიკურ მომუშავეთა შორისაც.

დამუშავებულ იქნას საკითხი ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის საერთო ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის უჯრედმა კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა ორ ფრონტზე, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, როგორც მთავარი საფრთხისა ამ ეტაპზე.

ბოლშევიკურად გადავლახავთ სიძნელეებს

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“-ს კომუჯრედის ღია კრებამ კომკავშირის უჯრედთან ერთად დამუშავა საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 4 ოქტომბრის მიმართვა.

აღნიშნულ თემაზე კრებამ მოისმინა ამხ. რუხაძის მოხსენება.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ სასტიკი პასუხი უნდა მოვთხოვოთ მათ, რომლებიც არ ასრულებენ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებას რაიონებში პასუხისმგებელი მუშაკების გაგზავნის შესახებ.

— ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი კომუნისტები ჯერ კიდევ არ წასულან რაიონებში სამუშაოდ, რითაც აფერხებენ რაიონების განმტკიცების საქმეს.

— ფაბრიკაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შრომის ახალი ფორმები და მეთოდები. სოცშეჯიბრებამ და დამკვრელობამ ხელი შეუწყო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

— ჩვენ მუშები ყოველგვარ სიძნელეებს ბოლშევიკურად გადავლახავთ.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება მთლიანად იწონებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვას. კრებამ მიიღო პრაქტიკული წინადადებები მიმართვის ცხოვრებაში გასატარებლად.

დამთავრდა ლენინის რაიონის პარტკონფერენცია

კამათი ამხ. ხარაბაძის მოხსენების გარშემო

კონფერენციის მეექვსე და მეშვიდე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ხარაბაძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ფედოტოვმა, ფირცხალავამ, კორშუნოვმა, დავითაშვილმა, ნუცუბიძემ, მაჭარაძემ, კარტოზიამ, მარგიშვილმა, ჩხენკელმა, ლორთქიფანიძემ, ტინტიკოვმა, პუგაჩევმა, კალანდაძემ და სააკიამ.

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები საწარმოო გეგმების შემუშავების დროს უმთავრესად დაინტერესებული არიან ხელფასის საკითხით. საწარმოო თათბირების საქმიანობაში კმაყოფილდებიან მხოლოდ თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნით, ხოლო თუ როგორ სრულდება მუშათა წინადადებები, მას პროფორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ, არ იღებენ მონაწილეობას თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში. ისეთი კამპანიები, როგორიცაა შინაური რესურსების გამოყენება, სწარმოებს პარტკომების მონაწილეობის გარეშე. პროფორგანიზაციები არ უწყობენ ხელს ერთმმართველობის გატარებას. სუსტად საწარმოებს ბრძოლა შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

რკინის გზის პროფკავშირს თავისი მუშაობა არ გარდაუქმნია. პროფორგანიზაციების აპარატი ძალზე გაბერილია. პროფორგანიზაციების მუშაობაში ვერავითარი გამოხმაურება ვერ პოვა ნებაყოფლობითი მუშაობის პრინციპმა. საწარმოო თათბირებმა მხოლოდ ფორმალურად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, საამქროებში კომისიები გაუქმებულია, მაგრამ საამქროების საწარმოო თათბირებს მუშაობა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. პროფსაბჭოები მცირე დახმარებას უწევენ ძირეულ პროფორგანოებს. საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ პროფორგანიზაციების მუშაკებმა კაბინეტიდან უნდა წავიდნენ წარმოებებში და დაეხმარონ მუშაობაში ადგილკომების და საამქროების ბიუროებს, შესრულებული არ არის.

კამათის დამთავრების და ამხ. ხარაბაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები ამხ. სახაშვილის, რაზმაძის და ხარაბაძის მოხსენებების ირგვლივ.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო აგრეთვე სპეციალური რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ამხ. ბუხარინისაგან გარკვეულ და არაორაზროვან პასუხს პარტიის პოლიტიკისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ.

სამანდატო კომისიის საინფორმაციო მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა რაიკომის დამატებითი წევრები და სარაიონო საკონტროლო კომისიის შემადგენლობა.

სატყეო მეურნეობა*)

გადავდივარ **ტყით სარგებლობაზე** მოსახლეობის სხვადასხვაგვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ ვლაპარაკობთ **შეშაზე და საშენ მასალაზე.** ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვყავს **გლეხკაცობა.** რევოლიუციამდე ტყეს ფლობდენ: ერთი მხრით **ხაზინა** (სახელმწიფო), მეორე მხრივ **კერძო მემამულეები.** მხოლოდ იშვიათად აქა-იქ ტყის პატარა ფართობები იყო გლეხების მფლობელობაში, და ისიც, რა თქმა უნდა, მდიდარი გლეხების. ტყის სარგებლობისათვის გლეხები ბევრს იხდიდენ, მასთან რა თქმა უნდა, მაშინ გადასახადის მხრივ არ იყო გარჩევა მდიდარსა და ღარიბ გლეხს შორის, უფრო მეტ შევიწროვებას აყენებდენ გლეხებს ტყით სარგებლობისათვის მემამულეები. ეს უკანასკნელები არც ტყეს ზოგავდენ და არც გლეხებს. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილება იყო გლეხებსა და ტყის მფლობელთა შორის. გლეხები, როცა იმათი მოთმინების ფიალა გაივსებოდა, თვითნებურად ჩეხავდნენ ტყეებს. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ბევრი ტყე გაიჩეხა გლეხების მიერ რევოლიუციების დროს. მაგრამ უკანასკნელ დროს ტყის მასიურ გაჩეხას ადგილი აღარ აქვს, ასე რომ, ხის მოჭრა ტყეში რამდენიმედ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ამასთანავე გლეხებს ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიეზომათ ტყის ცალკე ნაჭრები (საქართველოში, მაგ. — 200.000 ჰექტარზე მეტი). სამწუხაროდ, ეს ტყეები, თუ სულ არა, სანახევროდ უკვე მოსპობილად უნდა ჩაითვალოს.

რა თქმა უნდა, თუ გლეხი თავის ახლოს ხედავს ტყეს, მის მოთხოვნილებას ხე-ტყის მასალაზე საზღვარი არ აქვს. ამიტომ საჭიროა ამას რაიმე საზღვარი დაედვას. საბჭოთა ხელისუფლების კანონები ტყის სარგებლობის შესახებ საკმარისად დიდ შეღავათებს აძლევენ გლეხკაცობას, განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო გლეხებს. მიუხედავად ამისა ამ კანონების დარღვევა საკმაოდ ხშირია და სამწუხაროდ, ვერც სასამართლოები და ვერც ადმინისტრატიული ორგანოები სავსებით ვერ იყენებენ ამ კანონებს ტყის დაცვის საქმეში.

ამასთანავე საჭიროა ხე-ტყის მასალის ხმარების შეზღუდვა ან მის მაგიერ სხვა მასალის ხმარების შემოღება, მაგ.—ქვის, აგურის, კრამიტის და სხვ. და სხვ. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავლად მოიპოვება საშენი ქვა და კარგი ღირსებისაც; ამასთანავე უნდა გაძლიერდეს აგურის კეთება, განსაკუთრებით კრამიტის და აგრეთვე **ფიქალი ქვის** გამოყენება როგორც სახურავი მასალისა, რომელიც ჩვენ ქვეყანაში საკმარისად მოიპოვება. ჩვენში გლეხკაცობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, და აგრეთვე აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში, სახურავისთვის აქამდის ხმარობდენ თითქმის განსაკუთრებით **ყავარს.** ცნობილია, რომ ყავრის ახდამ ბევრ ადგილას, თითქმის სრულებით გაანადგურა ტყეები, განსაკუთრებით წიფლის ტყეები.

ამიტომ **საქართველოს საბჭოთა** მთავრობამ გამოსცა კანონი ყავრის ახდის აკრძალვის შესახებ. ამ კანონმა უკვე დიდი ნაყოფი მოიტანა, მხოლოდ ალაგ-ალაგ ხდება მისი დარღვევა. სამწუხაროდ, ვერ ტარდება ეს კანონი ჩვენ ავტონომიურ ერთეულებში. ამას წინად გაზეთებში იყო მოთავსებული ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ყავარი სჭირდებათ თურმე თამბაქოს მრეწველობისთვის რამოდენიმე მილიონ ცალობით ყოველ წლით, თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში აფხაზეთის ტყეები მარტო ამ საქმეს მოუნდება. ამიტომ ყავრის ახდის აკრძალვა სასტიკად უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში. ამასთანავე, ჩემი აზრით, უნდა გადაისინჯოს ზოგიერთ ხე-ტყის საწარმოთა შემდგომი არსებობის მიზანშეწონილობა ერთის მხრით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის და მეორე მხრით ტყის დაცვის თვალსაზრისით, (მაგ.—ბორჯომის საკასრე ქარხანა) ამ ქარხნის აგება ჩვენი სატყეო მრეწველობის მხრით ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო და არის.

მე ვფიქრობ აგრეთვე იმასაც, რომ **ზუგდიდის ქაღალდის ქარხანა,** რომელიც ახლა შენდება და რომლის ნედლეულ ბაზად მიღებულია ზემო-სვანეთის ტყეები, მომავალში უთუოდ უნდა გადავიდეს სხვა ნედლეულზე, ან ახლავე უნდა დაწყებულ იქნას განსაკუთრებული ტყის გაშენება სპეციალურად ამ მიზნით (აკაცია, ალვის ხე და სხვ.). ეს იქნება გონივრული და მიზანშეწონილი ღონისძიება მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. მაგრამ ამ შემთხვევაში მეორე გამოსავალიც არის: გადასვლა ისეთ მცენარეზე, რომელიც ყოველ წლივ მოდის, მაგ. **სიმინდზე,** რომლის გამოყენებაც სხვა და სხვა მიზნით ჩვენ დღემდისაც არ ვიცით. სიმინდის ჩალით ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ქაღალდის წარმოება, თუ ეს ასეა, რად უნდა ვიხმაროთ ამისათვის ისეთი მცენარეები, რომელთა ზრდისათვის რამდენიმე ათეული და ასეული წლებია საჭირო და რომელთა გამოყენება სხვა საქმეში ბევრად უფრო სახეირო და მიზანშეწონილი იქნებოდა. და რომ ეს შესაძლებელია, ეს დამტკიცებულია როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულადაც. მართლაც, თუ ერთწლიანი მცენარით შესაძლებელია ქაღალდის წარმოება, ყოვლად დაუშვებელია მის მაგიერ დიდრონი და მრავალწლოვანი ხეების ხმარება. ეს ეწინააღმდეგება ყოველივე რაციონალიზაციას.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ ზევით გვქონდა ნათქვამი, ჩვენ მივადექით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც დღეს ჩვენ წინაშე დგას, — ეს არის **ტყეების გამოყენება მრეწველობისათვის, ტყეების ექსპლოატაცია მრეწველობის მიერ.** შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე ჩვენში არასოდეს არ მდგარა ჯეროვან სიმაღლეზე. პირიქით, სწორედ ამ დარგში სუფევდა ყოვლად უსინდისო პირწავარდნილი ექსპლოატაცია. სწორედ ამ დარგში მეფობდენ ყოვლად გათახსირებული და ყოვლად უსინდისო მტაცებლები, რომლებიც ტყავს აძრობდენ და სისხლს სწოვდენ ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე ხალხს და იმავე დროს დაუზოგავად ანადგურებდენ თვით ტყესაც. ცნობილია, რომ ტყის მრეწველობაში ფულის მოგება სულ იოლი საქმეა. ტყის იმ მტაცებლურ ექსპლოატაციას, რომელსაც ადგილი ქონდა წარსულში, ბოლო მოუღო მხოლოდ **ოქტომბრის რევოლიუციამ** რა თქმა უნდა, ამას შემდეგ მდგომარეობა უნდა გამოცვლილიყო, და გამოიცვალა კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, ტყის ექსპლოატაციის ძველი წესები, იქ გამეფებული ძველი ზნე-ჩვეულებანი ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილან სავსებით. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ამ საქმის წიაღში ახლაც განაგრძობენ **არსებობას** როგორც ვითომდა ამ საქმის სპეციალისტები, ისევ **ძველი ექსპლოატატორები, ძველი „პოდრიადჩიკები“ და მტაცებლები.**

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ასეთი ხალხი ვერ შესძლებს ნაყოფიერათ მუშაობას. და ეს მართლაც ასე მოხდა. თუ სადმე, მრეწველობის რომელიმე დარგში არის გეგმის შეუსრულებლობა და ზარალიანობა — ეს პირველ ყოვლისა **სატყეო მრეწველობაში.** სამწუხაროდ ამის მიზეზს ხშირად ეძებენ არა იქ, სადაც ეს საჭიროა, და ამიტომაცაა, რომ ნამდვილ მიზეზს ვერ პოულობენ. ზოგიერთების აზრით ყველაფერი ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ტყეები სულერთიანად სატყეო მრეწველობის ხელში არაა. აქედან ამ უკანასკნელ დროს წამოსროლილ იქნა ლოზუნგი: **„ტყეები მრეწველობას“.** თუ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მრეწველობას მიეცეს ხე-ტყე, ეს სავსებით სწორია, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ტყის დანიშნულება, მისი როლი და მიზანშეწონილობა საერთოდ ქვეყნის ეკონომიკაში, მარტო ამაში როდია. ჰავა, მდინარეების რეჟიმი, მთების ფერდობებზე მდებარე ტყეები, იმათი უაღრესად დაცვითი მნიშვნელობა, **ტყეების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის, გლეხკაცობის მრავალგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხე-ტყით** და სხვადასხვა, განა ყოველივე ეს თავსდება ზევით მოყვანილ ლოზუნგში? რა თქმა უნდა, რომ არა. როცა ლაპარაკია ტყეების გადაცემაზე მრეწველობისათვის, მხედველობაში ქონდათ და აქვთ განსაკუთრებით **სამრეწველო ხასიათის ტყეები და არა ყველა ტყეები.**

ეს აშკარად სჩანს **საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს** ახალი დადგენილებიდან (№ 377, 27/8, 1930 წ.), რომლის მეორე მუხლი ამბობს: „გადაეცეს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საკავშირო რესპუბლიკების ტყის ყველა სახელმწიფოებრივი ფონდები, **გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების და დაცვითი ტყეებისა,** (რომლებიც იცავენ მდინარეების ნაპირებს, იჭერენ ქვიშიან ნიადაგს, **საკურორტო ტყეები** და სხვ. და სხვ).“

აქედან აშკარაა, რომ ასეთი ტყეები არ ითვლებიან სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებად. და თუ სადმე ჩვენს საბჭოთა კავშირში არსებობენ დაცვითი და საკურორტო ტყეები, ეს უწინარეს ყოვლისა ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში. დაცვითი ხასიათის და საკურორტო მნიშვნელობის მიკუთვნება საქართველოს (და აგრეთვე აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის) ტყეებისადმი ჩვენ ორგანოებს ბევრ რასმეს ავალებს, და პირველ ყოვლისა, აქედან აუცილებლად სათანადო დასკვნები უნდა იქნან გამოტანილი. ეს დასკვნები უკვე გამოტანილია ამიერ-კავკასიის მთავრობის დადგენილებებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მრეწველობის წარმომადგენლები ამ შეხედულებას როგორღაც ვერ ურიგდებიან, ან უფრო მართალი რომ ვთქვათ, ამ გარემოებას ისინი ანგარიშს ვერ უწევენ. ასე მაგ., გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს № 277-ში თითქმის მთელი ერთი გვერდი დათმობილი აქვს სატყეო მეურნეობას და სატყეო მრეწველობას და აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ან საქართველოს ტყეებს აქვს დაცვითი ხასიათი და საკურორტო მნიშვნელობა. პირიქით, ყველა წერილებში აშკარად გატარებულია ის აზრი, რომ ხსენებულ ტყეებს აქვს მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო მნიშვნელობა.

მეორე მხრით ამავე წერილებიდან ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს: ა.-კ. სატყეო ტრესტის 28 მსხვილი წარმოებათა სრული დატვირთვა უდრის ამჟამად **725.000 კუბიკურ მეტრს.** მაგრამ ნედლი მასალის უქონლობის გამო ეს წარმოებები ძლივს სანახევროდ არიან დატვირთულნი. იმავე დროს კი ა.-კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს ხუთი წლის ბოლოს აიყვანოს წარმოება **1.152.000 კუბომეტრამდე.** ე. ი. ორი წლის განმავლობაში გაადიდოს სატყეო ქარხნების დატვირთვა თითქმის 60 %, მაგრამ ა.-კ. საგეგმო კომისიას, როგორც სჩანს, კიდევ უფრო მეტი მადა აღძვრია: ის ფიქრობს აიყვანოს ამ ქარხნების წარმოებითი უნარიანობა **2.256.000 კუბომეტრამდე,** ე. ი. ორი-სამი წლის განმავლობაში გაადიდოს ხე-ტყის ქარხნების წარმოება სამჯერ, ანუ 211 პროც. უნებლიეთ ისმება კითხვა: თუ ახლა არ ყოფნით ტყის მარაგი, რაღა იქნება მაშინ, როცა ქარხნების წარმოებითი უნარიანობა გაიზრდება ერთიორად და ერთი სამად. შეიძლება ასეთი ზრდა უნდა მოხდეს შემოზიდულ ხე-ტყის ხარჯზე. მაგრამ ხსენებულ წერილებში ამაზე სრულებით არაფერია ნათქვამი. პირიქით, იქ მხედველობაში აქვთ მხოლოდ ადგილობრივი ტყეები. როგორც ხედავთ, აქ დიდი გაუგებრობა და წინააღმდეგობაა. გარდა ამისა, მთავარი ისაა, რომ აქ მიღებული არაა მხედველობაში შემდეგი გარემოებანი: ა) ტყის ექსპლოატაცია ხდება არა მარტო სმუს-ის ხაზით, არამედ სხვა დაწესებულებების ხაზითაც (რკინის გზა, ალმასკომები და სხვ.), და ბ) სოფლის მეურნეობის და გლეხკაცობის მნიშვნელობის აუცილებელი საჭიროებანი. რომ აქ არ ეწევა თითქმის სრულებით არავითარი ანგარიში ა.-კ. ტყეების **უაღრესად დაცვითი ხასიათს და იმათ კურორტულ მნიშვნელობას** — ეს ხომ უდაოა. ამას ამტკიცებს კიდევ შემდეგი გარემოება. ზევით დასახელებული წერილის ავტორის სიტყვით მთელ ა.-კავკასიაში ითვლება 4½ **მილ. ჰექტარი** დაფარული ტყეებით. არ ვიცი, სად ამოიკითხა ავტორმა ასეთი ცნობა. შეიძლია, განვაცხადო აქ მთელი პასუხისმგებლობით, რომ ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, ყოველ შემთხვევაში, ის ძალზე გაზვიადებულია. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ეს არის შემდეგი მტკიცება იმავე ავტორისა: „ა.-კ. სმუსის გამგებლობაში გადადის დაახლოვებით **სამი მილიონი ჰექტარი სამრეწველო მნიშვნელობის ტყეების“.** თუ მართლა ამოდენა ტყის ფართობი უნდა გადაეცეს ა.-კ. სმუს-ს, ეს ფაქტიურად ნიშნავს, ა.-კ. თითქმის ყველა ტყეების. ყოველ შემთხვევაში იმათი ფართობის სამი მეოთხედის მაინც, სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებად მიღებას. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ა.-კავკასიის ტყეებს თითქმის სრულებით არ ქონებიათ არც დაცვითი ხასიათი და არც საკურორტო მნიშვნელობა. მაგრამ ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ. ავიღოთ, მაგ., საქართველო, სადაც ა.-კავკასიის რესპუბლიკებთან შედარებით ყველაზე მეტი ფართობია დაფარული ტყეებით, ა.-კ. სახკომსაბჭოს უკანასკნელი დადგენილებით ა.-კ. სმუს-ს და რკინის გზას ერთად გადაეცა საკუთრივ საქართველოს ტყეებიდან მხოლოდ **322,4 ათასი ჰექტარი.** ამ რაოდენობაში არ შედის აფხაზეთის ტყეებიდან გადასაცემად გამოყოფილი ფართობი, რაც არ იქნება 200.000 ჰექტარზე მეტი. ეს სულ შეადგენს დაახლოვებით 500.000 — 600.000 ჰექტარს. ისმება კითხვა: საიდანღა ღებულობენ დანარჩენ 2.400.000 ჰექტარს. ეს პირდაპირ გაუგებარია, რადგანაც, რამდენადაც ვიცი აზერბეიჯანის და სომხეთის ტყეების მთელი ფართობი რომ ავიღოთ, ამდენი არ გამოვა.

რას მოწმობს ყოველივე ეს? იმას, რომ ა.-კავკასიის მრეწველობის წარმომადგენლები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამიერ-კავკასიის პირობებს, სრულებით არ აფასებენ ტყეების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაზედაც ზევით იყო ლაპარაკი და რაც თითქო ყველასათვის უდაო ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს. როგორ შეიძლება მოეწყოს ამ შემთხვევაში ტყეების მოვლა, ტყეების დაცვა, ტყეების განახლება, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით? ტყის ექსპლოატაცია და ტყის მოვლა-მოშენება ორი სხვადასხვა ფუნქციაა, ორი სხვადასხვა საქმეა. სამწუხაროდ, მრეწველობის ხელმძღვანელები ამას არ უწევენ ანგარიშს.

ტყის მოვლა-დაცვა — ეს უდიდესი ამოცანა მთელი სახალხო მეურნეობისათვის—ამ შემთხვევაში უთუოდ დაიჩაგრება. ეს მოუტანს ზიანს ბოლოს და ბოლოს თვით სატყეო მრეწველობას, რადგანაც ამას სულ ახლო ხანში აუცილებლად მოჰყვება ტყეების განადგურება და მოსპობა. ორი კურდღლის მიმდევარი ერთსაც ვერ დაიჭერს, ასე იქნება ამ შემთხვევაშიაც. მრეწველობას ისედაც რთული და მძიმე ამოცანები აქვს გადასაჭრელად, რომ მან კიდევ ტყის დაცვა, მოშენება და განახლება იკისროს. ცნობილია, რომ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ტყეები სავსებით ვერც წინედ აკმაყოფილებდენ და მით უმეტეს ვერც დღეს დააკმაყოფილებენ მრეწველობის ყველა მოთხოვნილებას. ყველამ უწყის, რომ როგორც ამიერ-კავკასია საერთოდ, ისე საქართველო თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საშენი ხე-ტყის მასალით, საჭიროებენ ამ მასალის შემოზიდვას რუსეთიდან. რომ ეს შემოზიდვა შემცირდეს, და მთელი ის მოთხოვნილება ტყის მასალაში, რაც ამიერ-კავკასიის ფედერაციას აქვს დღეს, დაეკისროს მარტო ადგილობრივ ტყეებს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტყეები სულ ცოტა ხნის განმავლობაში სრულიად განადგურდებიან. რა თქმა უნდა, ეს არავისათვის სასარგებლო არ იქნება. და გარდა ამისა, ეს გამოიწვევდა ხე-ტყის იმ ძვირფასი ჯიშების განადგურებას, რომლებიც ამიერ-კავკასიის ტყეებში მოიპოვებიან. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვეულებრივი საშენი ხე-ტყის მასალის შემოზიდვა რუსეთიდან ამიერიდან წარსულთან შედარებით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. საკითხის ასეთი გადაჭრა იქნებოდა ბევრად უფრო მიზანშეწონილი, რადგანაც ეს შეუწყობდა ხელს ამიერ-კავკასიის ტყეების განვითარებას, რასაც მოითხოვენ ადგილობრივი ჰიდრო-ტოპოგრაფიული, კლიმატიური და სხვა პირობები, ერთი მხრით და მცენარეების ძვირფასი ჯიშების დაცვა და იმათი უფრო რაციონალურად გამოყენება, მეორე მხრით. აქედან დასკვნა ასეთია: ამ.-კავკასიის ტყეებს რომ უმთავრესად სამრეწველო მნიშვნელობა მიენიჭოს, ამას ისეთი დიდი შეცდომა მოჰყვებოდა, რომლის გამოსწორებას ჩვენ ახლო მომავალში ვეღარ შევძლებდით. დროა, ეს ჭეშმარიტება შეიგნონ სატყეო მრეწველობის წარმომადგენლებმაც.

ხშირად ისმის საყვედური იმის შესახებ, რომ მრეწველობა თავის ქარხნებისათვის ვერ ღებულობს თავის დროზე ხე-ტყეს საჭირო რაოდენობით; ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: უწინარეს ყოვლისა, აუარება ფაქტები მოწმობენ იმას, რომ როცა სატყეო ტრესტის ქარხნები ნედლი მასალის უქონლობის გამო დგანან, იმ დროს ტრესტის მიერ დამზადებული მორები ტყეში ან გზაზე სადმე ყრია და ლპება. ეს ასეა დღესაც. ყველას შეუძლია ამ ფაქტის შემოწმება. ვინაა აქ დამნაშავე? ტრესტმა დღემდის ვერ მოაგვარა დამზადებული მორების ქარხანაში მიტანა, ამიტომ ხშირად [illegible] დამზადებულ

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 247.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადაში გაძლიერდა ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ

დაარსდა ახალი კოლმეურნეობები გორის და ქუთაისის რაიონებში. კოლმეურნეობები ანგარიშს აბარებენ ღარიბ და საშუალო გლეხების სასოფლო კრებებს

დაუყოვნებლივ მივაღწიოთ გარდატეხას შემოდგომის თესვაში

მოსავლის და კოლექტივიზაციის დეკადა

(წერილი გორიდან)

გეგმის მიხედვით მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადის ჩატარებას წელს უფრო მეტი მასიური ხასიათი ეძლევა. გარდა იმისა, რომ რაიონში მოეწყობა 3 გამოფენა ამ დღესასწაულის ჩატარებას დაუკავშირეთ: შემოდგომის თესვა, კოლექტივებში ახალი ლტოლვისათვის ხელმძღვანელობის გაძლიერება, ახალი კოლმეურნეობების დაარსება და არსებული არტელების გამაგრება.

არსებული კოლმეურნეობები ჩააბარებენ ანგარიშს ინდივიდუალურ მეურნეობებს და აგრეთვე გაფართოებულ საბჭოს სხდომებს მოსავლის განაწილებისა და შემოდგომის თესვის მიმდინარეობაზე. მოხდება კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საინიციატივო ჯგუფების გამოყოფა.

მთელ რიგ სოფლებში უკანასკნ. ხანებში მეტად **გაძლიერდა ლტოლვა კოლმეურნეობებში.** ამ გარემოებას ხელს უწყობს მოსავლის სწორად განაწილება. ბევრ ადგილებში ინდ. მეურნე გლეხები მოითხოვენ გამგეობის ანგარიშს იმაზე, თუ როგორ განაწილდა მოსავალი კოლმეურნეობის შიგნით.

სოფლებში ეწყობა მასიური ექსკურსიები, როგორც გამოფენების დასათვალიერებლად, ისე ცალკე კოლმეურნეობათა შესასწავლად. გამოფენა წელს ეწყობა: მეჯვრისხევში, ტყვიავში, შინდისში და რაიონული მნიშვნელობის გამოფენა გორში. აუარებელი ექსპონატება დამზადებული გამოფენებისათვის, როგორც კერძო მეურნეობების, ისე კოლმეურნეობების მიერ.

გამოფენაზე გარდა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისა, გამოფენილი იქნება აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო რთული მანქანები. რომელთა დემონსტრაციას და ახსნა-განმარტებას აწარმოებს ამჟამად სოფლებში მყოფი მუშათა შემკეთებელი ბრიგადები.

გამოფენაზე დარიგებული იქნება ჯილდოები სას.-სამეურნეო იარაღ - მანქანებით. ერთ-ერთ კოლმეურნეობაზე ჯილდოთ გაიცემა აგრეთვე ერთი ტრაქტორი, რომელიც გორის რაიონმა მიიღო საჩუქრად „ნედლეულის“ შეგროვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

აგრორწმუნებულების და საწარმოო თათბირის წევრებისაგან შემდგარი დელეგაცია გაიგზავნება სხვადასხვა რაიონებში მოწინავეობის მისაღებად 60 კაცის და ქალის შემადგენლობით. სომხეთში და აზერბეიჯანში იგზავნება 3 კაცი.

დღესასწაულთან დაკავშირებით გორში გამოვა ერთდროული გაზეთი. ამ გაზეთში გაშუქდება არსებული კოლმეურნეობათა მიღწევა - დეფექტები, შემოდგომის თესვა და მორიგი ამოცანები ამ დარგში.

ვ.

თესვის მიმდინარეობა 20 ოქტომბრისათვის

ჰექტარებში

რაიონები	კოლმეურნეობებში			ინდივიდ. მეურნეობებში			ს უ ლ		
	უნდა დაითესოს სულ	დაითესილია 20 ოქტომბრამდე	შესრულებულია %%-ში	უნდა დაითესოს სულ	დაითესილია 20 ოქტომბრამდე	შესრულებულია %%-ში	უნდა დაითესოს სულ	დაითესილია 20 ოქტომბრამდე	შესრულებულია %%-ში
თბილისის რაიონი	2725	705	25,9	9444	5918	62,6	12171	6623	54,4
გურჯაანის „	—	—	—	—	—	—	15496	2800	18,1
ბაშკიჩეთის „	106	25	23,5	5060	3701	73,3	5166	3726	72,1
სტალინისის „	6270	979	15,6	16030	902	5,6	22300	1881	8,4
გარე-კახეთის „	1200	595	49,5	10382	9045	87,1	11582	9460	83,2
ჭიათურის „	684	95	13,9	1676	1550	92,4	2360	1645	69,7
ადიგენის „	—	—	—	—	—	—	2000	1477	73,6
გორის „	4620	1449	31,3	16180	3323	20,5	20800	4772	22,9
ბაღდათის „	200	4	2	515	10	1,9	715	14	1,9
ს უ ლ	15805	3852	24,3	59287	24449	41,2	92530	31578	34,1

დაარსდა ახალი კოლმეურნეობები

(წერილი გორიდან)

კოლმეურნეობებში ლტოლვა და ზოგიერთ სოფლებში ახალი კოლმეურნეობების მოწყობას დიდათ შეუწყო ხელი უკვე არსებულ კოლმეურნეობებში შრომის და, რაც მთავარია, — მოსავლის სწორათ განაწილებამ.

ამ გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე საშემოდგომო თესვის კარგათ ჩატარებამ ბევრ კოლმეურნეობებში მაგ. კარალეთის, ტყვიავის, ფლავის, ფლავისმანის, მერბუკის და სხვა. ბევრმა კოლმეურნეობებმა თესვა ვადაზე ადრე და გადაჭარბებითაც დაამთავრეს; კარალეთის კოლმეურნეობაში ამჟამად განცხადება აქვს შეტანილი 81 მეურნეობას. ამავე სოფლის მთელი ღარიბი და საშუალო გლეხობა მოითხოვს კოლმეურნეობაში გაერთიანებას, მაგრამ რადგანაც უკვე არსებულ კოლმეურნეობას ჯერ საბოლოოდ არ დაუმთავრებია მოსავლის განაწილება, ამიტომ აჭიანურებენ მთხოვნელების დაკმაყოფილებას.

ტყვიავის არტელში შეტანილია 12 განცხადება, ფლავში და ფლავისმანში 37 განცხადება, მერბუკში 13, ტინისხიდში 27 და სხვა.

გარდა ამისა **ჩამოყალიბდა სრულიად ახალი არტელები, სოფელ ზემარდაში 23 მეურნეობა, უარაფილაში 52 მეურნეობა, ნიგოზაში 41 მეურნეობა, შრომის და ჩარხის უბანში 60-მდე მეურნეობა, ტირიფონაზე ძველად გადასახლებულ მთიულებმა შექმნეს კოლმეურნეობა 27 მეურნეობისაგან, ასევე მოიქცა სამხრეთ-ოსეთიდან გადმოსახლებული გლეხები და ებრაელთა ახალშენი.**

გორის რაიონში უკანასკნელ ხანებში საგრძნობი ლტოლვაა კოლმეურნეობებში, რასაც სათანადო ხელმძღვანელობა ეწევა პარტიულ და რაიონულ აღმასკომის მიერ.

კ. მგელაძე.

ვიზრდებით

(ტელეგრაფით ქუთაისიდან)

ქუთაისის რაიონში, სადაც ამჟამად მოსავლის განაწილება მიმდინარეობს, შემჩნეულია ღარიბი და საშუალო გლეხების მასიური ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

სოფ. გვიშტიბის სას.-სამ. არტელში ამ ერთი კვირის განმავლობაში მიიღეს 40 ახალი წევრი. ქვედა-სიმონეთის კოლექტივში მიღებულია 24 ღარიბი და საშუალო გლეხი; სოფ. მაღლაკის კოლექტივში, სამი დღის განმავლობაში მიიღეს—25 ახალი წევრი.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივებში მასიურად შედიან აგრეთვე დემობილიზაციაქმნილი წითელარმიელები; ისინი უკვე შეუდგნენ სას.-სამ. არტელებში გაცხოველებულ მუშაობას, მათ შეიტანეს კოლექტივებში მტკიცე დისციპლინა.

ქუთაისის რაიონის ყველა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ და ბოლშევიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ ღარიბი და საშუალო გლეხების მასიურ ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ. ამასთანავე ერთად, მოსავლის და კოლექტივიზაციის დეკადაში აღმოფხვრილ უნდა იქნას კოლმეურნეობებში ყველა ის დეფექტები, რომლებიც აფერხებენ კოლმეურნეობების მშენებლობის უფრო ფართოდ გაშლას.

ვა—ლი

კოლექტიური შრომის დღესასწაული

(გურჯაანი)

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადის ჩატარებისათვის გურჯაანის რაიონში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. რაიაღმასკომის მიერ დამტკიცებულ გეგმის თანახმად ათდღიურის ჩატარებას ეძლევა დღესასწაულის ხასიათი. მოსამზადებელ და საორგანიზაციო მუშაობის ჩასატარებლად ყველა სას. საბჭოებზე უკვე მიმაგრებულია თითო პასუხისმგებელი ამხანაგი.

19 ოქტომბრიდან ყველა სოფლებში ტარდება მოსახლეობის საერთო ყრილობები და მოსმენილ იქნება მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის მნიშვნელობაზე. 20 ოქტომბერს მთელს რაიონში მოეწყო შაბათობა კოლმეურნეობებში ნაგვიანებ კულტურების მოსავლის აღებისათვის. 23 ოქტომბრამდის იწარმოებს მოხვნა და დათესვა კოლექტივიზაციის ფონდის ნაკვეთისა.

შემდეგ ორ დღეში დამუშავდება და დაითესება წითელ ბეღლების ფონდის ნაკვეთები თითო სას. საბჭოს ფარგლებში არა ნაკლებ 3 ჰექტარისა 26 და 27 ოქტომბერს გაიმართება სას. სამეურნეო გამოფენები ხუთ აგროუბანში. საღამოობით მოეწყობა მოხსენებები კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობებისა მათი მუშაობის და მიღწევების შესახებ.

28 ოქტომბერი მთლიანად მიკუთვნებულია ქვრივ-ობლების სახნავ-სათესი მიწების მთლიანად დამუშავებისათვის და აგრორწმუნებულთა მუშაობის შემოწმება-შეფასებისათვის. 29 და 30 ოქტომბერს იწარმოებს წითელ არმიელთა და ღარიბებს უსაქონლო მეურნეობების კუთვნილ სახნავ მიწების დამუშავება და ჩატარებულ იქნება მოხსენებები: პურის დამზადებაზე, სესხის რეალიზაციაზე და სხვა. 1 ნოემბერს იწარმოებს სასილოსო ორმოების საბოლოოდ დამთავრება და მათი საკვებით ამოვსება.

სას. სამეურ. გამოფენაზე 171 ექსპონატების წარმოდგენა დავალებული აქვთ ყველა დარგის სას. სამ. გაერთიანებას, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს, აგროპუნქტებს, აგროტექნიკუმებს, მიწადმოქმედების ორგანოებს და ღარიბ საშუალო გლეხებს.

რაიაღმასკომის დადგენილებით მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებისათვის გადადებულია 3.000 მანეთი, რომლის გაღებაში მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაცია და თვით რაიაღმასკომი.

ლიბანელი.

სოფ. ვაქირის (სიღნაღის რაიონი) ამხ. სტალინის სახელ. სას.-სამ. არტელის რთველი

გამოეცხადათ საყვედური

ცნობების წარმოუდგენლობისათვის

შემოდგომის სას. - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობაზე **სადეკადო** და ხუთდღიურ ცნობების წარმოუდგენლობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით:

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ტოლოშის, ადიგენის, ბორჩალოს, სამტრედიის, ხონის, ზესტაფონის, ხარაგოულის, ამბროლაურის, ცაგერის, ხობის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის ჩოხატაურის და ოზურგეთის რაიაღმასკომების სამიწათმოქმედო განყოფილების გამგეებს.

საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარი შ. მათიკაშვილი.

ოქტომბრის 13 წლისთავი

პროფკავშირების მონაწილეობა ოქტომბრის დღესასწაულებში

საქ. პროფსაბჭომ შეიმუშავა ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების გეგმა. დღესასწაულის წარმატებით ჩასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა იწყება 25 ოქტომბრიდან.

28 ოქტომბერს ყველა კლუბებში, წითელ კუთხეებში, საამქროებში მოეწყობა საუბრები შემდეგ საკითხებზე: საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას და ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის მიმართვების შესრულება, მე-13 ოქტომბრის სახელობის დამკვრელების გაწვევა, საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულება, სოფელზე პროლეტარული გავლენის გაძლიერება, საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერება, მუშათა მომარაგების გაუმჯობესება და სხვ.

1-დან 7 ნოემბრამდე ყოველ საღამოზე, კონცერტზე, წარმოდგენაზე, კინო-კლუბებში და სხვა დაწესებულებებში ჩატარებული იქნება ინფორმაციული მოხსენებანი ცალკე წარმოების საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელნიც დასახულია სოციალისტურ მშენებლობის გაძლიერებლად.

ყველა სკოლებსა და სასწავლებლებში ჩატარდება სპეციალური მეცადინეობა მე-13 ოქტომბრის მნიშვნელობის შესახებ.

მობილიზაციით გაწვეული იქნება ყველა სახის მხატვრული კოლექტივი მუშა-მოსამსახურეებისათვის კულტმასახურის გასაწევად. გამოვა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, 1-დან 6 ნოემბრამდე კლუბები დღითაც აწარმოებენ მასიურ მუშაობას, მოეწყობა ექსკურსიები და სხ. ბაქოდან, ერევნიდან, ბათომიდან, ჭიათურიდან, ქუთაისიდან, ტყიბულიდან და განჯიდან ჩამოსულ მუშათა დელეგაციებისათვის გაიმართება დაახლოების საღამოები და სხვა.

7 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე მოეწყობა მიტინგი და მხატვრული გამოსვლები, გაიმართება დემონსტრაცია, საუკეთესო მწარმოებელ მუშების და დამკვრელების ფოტოგრაფიულ სურათების გამოფენა და სხ.

ამასთანავე გაიმართება სამუშაო დროის გამცდენთა, ლოთების, ხულიგნების და მუშაობის ხელისშემშლელთა მოქმედების დამახასიათებელი სურათების გამოფენა.

მოეწყობა აგრეთვე მუშათა კლუბებისათვის სპეციალური კრებები, მიტინგები, ექსკურსიები და საღამოები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ოჯახი საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეს.

ოქტომბრის დღესასწაულებზე მუშები კოლექტივებზე მიიღებენ საყოფაცხოვრებო კულტურულ შეფობას, ჩამორჩენილ კოლექტივებს აიყვანენ ბუქსირზე, კოლექტივებში გადატანილი იქნება სოცშეჯიბრებების და დამკვრელობის საუკეთესო ფორმები და სხვა.

7 და 8 ნოემბერს ყველა კინო და თეატრი დაკავებული იქნება პროფკავშირების წევრთათვის შესაფერი საღამოების გასამართავად.

საკერავ მანქანების შეძენა

შემნახველ სალაროების საშუალებით

უმაღლესი საკავშირო ორგანოების დადგენილებით გამოყოფილია 500.000 ცალი ხელით საკერავი მანქანა შემნახველ სალაროების წევრთა შორის გასანაწილებლად.

ამიერ-კავკასიაში შემნახველ სალაროების საშუალებით სულ განაწილებული იქნება 22.000 ცალი მანქანა.

მანქანები დაყოფილია 5 პარტიად. პირველი პარტია გაცემული იქნება 1931 წლის პირველ აპრილიდან 30. ივნისამდე, მეორე პარტია—პირველ ივლისიდან 30 სექტემბრამდე, მესამე—1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე, მეოთხე პარტია—1932 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე მეხუთე პარტია იმავე წლის 1 აპრილიდან 31 მაისამდე.

შემნახველ სალაროს წევრებს, რომელთაც სურთ ხელით საკერავ მანქანების შეძენა, დაწესებულ ვადამდე სრულად უნდა შეიტანონ სალაროში მანქანის ღირებულება მიზნობრივი ანაბარების სახით.

15 ნოემბრიდან შემნახველი სალაროები შეუდგებიან [illegible] და თანხების მიღებას. პირველ სამ პარტიაში გამოყოფილ მანქანების შეძენის მსურველებმა მანქანების შეძენის მსურველებმა მანქანის ღირებულება უნდა შეიტანონ სავსებით მიმდინარე წლის დეკემბრის დამლევამდე, ხოლო დანარჩენებმა მომავალ წლის 1 მარტამდე.

მანქანებს მიიღებენ სახელობითი ორდერებით საკერავ მანქანათა ტრესტის საწყობებიდან.

საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობა

მუშაობის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი

ა.-კ. პროფსაბჭოში შედგა ფართო თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობის მსვლელობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

თათბირმა საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობაზე წარმოებული მოსამზადებელი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო შემდეგი გარემოებების გამო: ამიერ - კავკასიის მიწსახკომი და რესპუბლიკური მიწსახკომები სუსტად მუშაობენ მეურნეობებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფის დარგში; მეურნეობებს საჭირო მასალებს არ აწვდიან „ზაკსელხოზსნაბი“ „სოიუზლესი“ და „სოიუზხლები“. მეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელობა ა.-კ. კოოპერატიული კავშირის მხრიდან თათბირმა არადამაკმაყოფილებლად სცნო.

ამას გარდა თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობისათვის წარმოებული მუშაობა ძირიანად უნდა გარდაიქმნას. ამიერ - კავკასიაში საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობის საკონტროლო ციფრები 1931 წლისათვის ითვალისწინებენ ბოსტნების სივრცის გადიდებას 4,370 ჰექტარამდე, პირუტყვის რიცხვის გადიდებას—10,550 სულამდე, ღორების — 2,500-დე, შინაური კურდღლის —3.900, საკვები ბალახების სივრცის—10,000 ჰექტარამდე. თათბირმა ეს ციფრები არასაკმარისად სცნო და წინადადება მისცა „ზაკსოიუზს“ ა.-კ. პროფსაბჭოსთან, ა.-კ. საგეგმო კომისიასთან და ა.-კ. მიწსახკომთან ერთად გადასინჯოს ეს ციფრები მათი გადიდების მიზნით.

საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობის დასაჩქარებლად თათბირმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტ - აგრონომები გაგზავნილ იქნენ სამომხმარებლო კოოპერაციაში საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობის ხაზით სამუშაოდ.

„ზაკსოიუზს“ წინადადება მიეცა საგარეთუბნო მეურნეობათათვის გამზადებულ მთელ სივრცეზე (1,700 ჰექტარი) დაუყოვნებლივ შეუდგეს საანეულო ხვნას.

თათბირმა აუცილებლად სცნო დაარსებული იქნეს „ზაკსოიუზთან“ საგარეთუბნო მეურნეობათა მშენებლობის ხელისშემწყობი კომისია და მეურნეობათა მშენებლობის მსვლელობის შესამოწმებლად გაიგზავნონ ადგილებზე ა.-კ. კოოპერატიული კავშირის და ა.-კ. მიწსახკომის ბრიგადები.

ა.-კ. მრეწველობის საკონტროლო ციფრები

ხორბლის საფქვავი მრეწველობა

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ხორბლის საფქვავი მრეწველობის მშენებლობის საკონტროლო ციფრები 1931 წლისათვის.

კაპიტალურ დაბანდებათა ძირითადი ობიექტია ფქვილის დამხარისხებელ წისქვილის აგება თბილისში 200 ტონა ხორბლის ნაყოფიერებით დღე-ღამეში; წისქვილთან მოეწყობა ელევატორი, რომელიც დაიტევს — 16.400 ტონა ხორბალს. ხორბლის საფქვავ მრეწველობაში სულ დაბანდებული იქნება 4 მილ. მანეთი.

წისქვილის აგება დაიწყება 1931 წლის იანვარში და დამთავრდება იმავე წლის დეკემბერში.

წისქვილის ასაგები ადგილი გამოყოფილია ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა უბანში, ქალაქის სასაკლაოების მახლობლად.

წისქვილი აგებული იქნება გერმანელ ინჟენრების მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით.

გაფართოებული იქნება აგრეთვე ბაქოს № 1 და № 2 წისქვილები, რომელთა ნაყოფიერება 330 ტონიდან გაიზრდება 660 ტონამდე დღე-ღამეში. № 1 წისქვილთან აგებული იქნება ელევატორი, რომელიც დაიტევს 12.500 ტონა ხორბალს; ელევატორი მოეწყობა აგრეთვე № 2 წისქვილთანაც, რომელიც დაიტევს 3.300 ტონა ხორბალს.

ამის და მიხედვით გაფართოებული იქნება ფქვილის საწყობები და ჩატარებული იქნება შინასატრანსპორტო ოპერაციების სრული მექანიზაცია. მუშებისათვის აგებული იქნება საცხოვრებელი სახლი 2.000 კვ. მეტრის მოცულობით.

ხორბლის საფქვავ მრეწველობისათვის კადრების მომზადების მიზნით, ბაქოში ეწყობა ხორბლის საფქვავ—ბრინჯის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა 120 კაცისათვის. სწავლება სკოლაში იწარმოებს თურქულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

ყველა დასახულ ღონისძიებათა შედეგად ხორბლის გადამუშავების თვითღირებულება 1932 წლისათვის შემცირდება 20 პროც., ბრინჯის—25 პროც.

უპარტიო მეცნიერული მუშაკები კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ

12 ოქტომბერს 26 კომუნარის სახელობის ა.-კ. კომუნივერსიტეტში შედგა ამ უნივერსიტეტის უპარტიო პროფესორების, დოცენტებისა და ლექტორების საერთო კრება კონდრატიევის, გრომანისა და სხვების მავნებლური ორგანიზაციის საქმის შესახებ.

მოხსენებით ამ თემაზე გამოვიდა უპარტიო ამხ. **ათაბეგოვი,** რომელმაც ანალიზი გაუკეთა კონდრატიევის, გრომანის, სუხანოვის, ჩაიანოვის, მაკაროვისა და სხვათა სამეცნიერო და ნაბეჭდ შრომებს 1922 წლის შემდეგ.

მომხსენებელმა მათი შრომებიდან და გამოსვლებიდან მოიყვანა მთელი რიგი ამონაწერები და შემდეგ ვრცლად დაახასიათა მათი იდეოლოგია, როგორც კულაკობის იდეოლოგია, მიმართული კაპიტალისტური წყობილების აღდგენისაკენ.

მთელი რიგი ციტატებით მომხსენებელმა ცხადჰყო მათი მისწრაფება— აღედგინათ კერძო საკუთრება მიწაზე, გაეძლიერებინათ კაპიტალისტური სექტორი სოფლად და ქალაქად, შემოეღოთ კაპიტალისტური რენტა. ისინი მიმართავდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, რომელთა მეოხებითაც უნდა შერყეულიყო საბჭოთა საადგილ-მამულო კანონმდებლობა და მთელი საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა და ყოველსავე ამას უნდა გამოეწვია კაპიტალისტური წყობილების აღდგენა.

ამხ. ათაბეგოვი შეჩერდა 1922—1930 წლების პერიოდზე. მან აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ პირთა „სმენავეხელობა“ ნამდვილად იყო არა გზის შეცვლა, არამედ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ტაქტიკის შეცვლა მეორეთი.

მავნებლური ორგანიზაციების აღმოჩენა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტზე მოწმობს, რომ ისინი თავიანთ „სამეცნიერო“ წერილებითა და გამოსვლებითა არა მარტო ფარავდენ ბურჟუაზიულ კულაკურ იდეოლოგიას, არამედ შეგნებულადაც უთხრიდნენ ძირს ჩვენს მეურნეობას შიმშილისა და მავნებლობის მოწყობით ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგში თავიანთი კონტრ-რევოლუციონური მიზნების მისაღწევად.

ამ მომენტში,— აღნიშნა მომხსენებელმა,— როდესაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელნი აღფრთოვანებით რაზმავენ თავიანთ ძალებს გამარჯვების მოსაპოვებლად სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ა.-კ. კომუნივერსიტეტის უპარტიო პროფესორებმა, დოცენტებმა და ლექტორებმა ამ ჯგუფის მავნებლობის საპასუხოდ აშკარად და გადაჭრით უნდა განაცხადონ, რომ დროა მოეღოს ბოლო ნეიტრალობას, დროა გამოვაცხადოთ თავი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სრულ განკარგულებაში კლასობრივი მტრის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საწარმოებლად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **კონიაშვილმა, ილინსკიმ, ივანოვმა, ლიასტერმა, ნახაპეტიანმა და ელიბეკიანმა.**

ამხ. **კონიაშვილმა** მთლიანად გაიზიარა მომხსენებლის თეზისები და დასკვნები და აღნიშნა, რომ ა.-კ. კომუნივერსიტეტის უპარტიო მასწავლებელთა პერსონალმა უნდა გააძლიეროს მუშაობა როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ და ამავე დროს იმუშაოს თავის თავზე იმისათვის, რომ მარქსისტულ-ლენინური ბაზა შეუქმნას საერთო-საგანმანათლებლო დისციპლინებს.

ამხ. **ლიასტერმა,** რომელმაც მოიყვანა ციფრები ამხ. სტალინის მოხსენებიდან და დამყარა მე-16 პარტყრილობის რეზოლუციას, აღნიშნა უკანასკნელი დროის მიღწევები, რაც უნდა მიეწეროს კომპარტიის სწორ ხელმძღვანელობას და მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობის განსაკუთრებულ აღფრთოვანებას.

ამხ. **ილინსკი** აცხადებს, რომ უპარტიო ლექტორთა უმრავლესობა ა.-კ. კომუნივერსიტეტში მუშაობს მის დაარსებიდანვე, რომ მუშათა და გლეხთა მასასთან და კომპარტიასთან განუწყვეტელი ურთიერთობის შემდეგ მათი მსოფლმხედველობა, როგორც ეს მან საკუთარი გამოცდილებით იცის, იმდენად შეიცვალა, რომ უფრო სწორი იქნება ვუწოდოთ მათ არა უპარტიოები, არამედ „პარტიის მახლობლები“ (მაქ. გორკის გამოთქმა). ა.-კ. კომუნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, რაც საშუალებას მოგვცემს საქმით დავამტკიცოთ სოლიდარობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ტაქტიკასა და პროგრამასთან.

ამგვარივე შინაარსის იყო ამხ. **ელიბეკიანის, ნახაპეტიანისა** და **ივანოვის** სიტყვები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ა.-კ. კომუნივერსიტეტის უპარტიო პროფესორების, დოცენტებისა და ლექტორების საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ათაბეგოვის მოხს. კონდრატიევის, გრომანისა და სხვათა მავნებლობის შესახებ, აცხადებს რომ ამ მომენტში, როცა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლაა, როცა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მშრომელნი განსაკუთრებულ აღტკინებას, განსაკუთრებულ ენტუზიაზმს იჩენენ, ჩვენ, ა.-კ. კომუნივერსიტეტის მასწავლებლები, სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ ეკონომისტებისა და ინჟენერების ჯგუფის მავნებლურ მოქმედებას და პროლეტარიატის კლასობრივი მტრის გამოსვლებს ვუპასუხებთ ჩვენი მუშაობის გაძლიერებით სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად, რათა მუშათა კლასთან კავშირში მივაღწიოთ გამარჯვებას სოციალისტურ ფრონტზე, შევასრულოთ ხუთწლედი—ოთხ წელიწადში.

გარდა ჩვენი სპეციალური პედაგოგიური მუშაობისა, ჩვენ სიტყვას ვიძლევით აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საზოგადოებრივ მუშაობაში როგორც ა.-კ. კომუნივერსიტეტის კედლებში, ისე მის გარეთაც. დეე, იცოდნენ მუშ. კლასის მტრებმა, რომ მათი მავნებლობის საპასუხოდ ა.-კ. კომუნივერსიტეტის მასწავლებელთა უპარტიო შემადგენლობა, ა.-კ. კომუნივერსიტეტის სტუდენტობასთან ერთად, უფრო მეტი ენტუზიაზმით იმუშავებს პროლეტარიატის გასამარჯვებლად კლასობრივ მტერზე.

ვაცხადებთ რა, რომ ამჟამად ლოიალობაზე ლაპარაკი დაუშვებელია, ჩვენ მთლიანად ვდგებით ბარიკადის ერთ მხარეზე კომუნისტურ პარტიასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით წინ მივავალ პროლეტარულის მასებისა და მშრომელ გლეხთა მასებთან ერთად, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ.

ჩვენ მზადა ვართ მივსცეთ სოციალისტურ მშენებლობას არა მარტო მთელი ჩვენი ძალა და ცოდნა, არამედ თუ საჭირო იქნება საკუთარი სიცოცხლეც.

ჩვენ ვაცხადებთ თავს მობილიზაციაქმნილად სოციალისტური მშენებლობისათვის და გადავეცემით პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სრულ განკარგულებაში ყველა დამკვრელი კამპანიების გასატარებლად.

ხელს აწერენ:

ათაბეგოვი, ილინსკი, ზედირხანი, კუზუშვილი, ივანოვი, ნათაძე, ელრასინოვი, ლიასტერი, ელიბეკიანი, ბეგიაშვილი, გ. მელიქიანი, ა. ნახაპეტიანი, ლ. ნახაპეტიანი, ა. საფრასტიანი, დიმ. მგელაძე, ს. კაკაბაძე, ვ. ბერიძე, ნ. სარქისიანი, კონიაშვილი, ჭანდუროვი, კ. ასლანოვი.

აფეთქება ტყიბულის მაღაროში

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტყიბული, 22 ოქტომბერი 22 ოქტომბერს დილის 7 საათსა და 30 წუთზე მაღაროების აღმოსავლეთ უბნის კვლევითი მაღაროში № 2, აფეთქდა გაზი. აფეთქება ძლიერი იყო. მოკლულია ორი მუშა—ქელიშვილი და ლომთაძე, მძიმედ დაშავდა ერთი და მსუბუქად ორი კაცი. დაშავებულთა სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის.

როგორც ირკვევა აფეთქება გამოწვეულია უშიშროების ტეხნიკის დაუცველობით. ტყიბულის მაღაროების მუშები უშიშროების ტეხნიკას ნაკლებათ იცნობენ.

გაზის აფეთქებას გვირაბში ცეცხლის გაჩენა არ გამოუწვევია.

ჟავახაძე.

პარასკევს, 24 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე **პროფსაბჭოს დიდ დარბაზში** (მუშათა სასახლე)

მოწვეულია პარტიის და კომკავშირის ყველა უჯრედების მდივნების, ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეების, ყველა დაწესებულებათა დაწინაურებული მუშების და სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოების ხელმძღვანელების

საქალაქო კრება

დღის წესრიგი: ამხ. ვარდანიანის მოხსენება სახელმწიფო აპარატის ხარჯების შემცირების „ერთთვიურის“ შესახებ.

ყველა აღნიშნული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ა.-კ. საოლქო-საკონტროლო კომისია და მუშგლეხინი
და საქ. ც. ს. კ. და მუშგლეხინი.

ხის მორებს სხვა ორგანიზაციები ეპატრონებიან. ჯერ არავის გამოუანგარიშებია, თუ რა ღირებულების ხე-ტყე ეკარგება ქვეყანას მარტო გაფუჭებული ხის მორების სახით. ესაა მტაცებლური ექსპლოატაცია. აქ ტყეს ფასი არ აქვს. ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, რაც შეიძლება მეტი ხე იქნას მოჭრილი. მტაცებლობა იწყება ხის მოჭრიდან და გრძელდება ქარხანაში, სადაც ხდება ხე-ტყის დამუშავება. პირდაპირ დაუჯერებელია, თუ როგორ მტაცებლურად, თუ როგორ დაუზოგავად ხდება ხე-ტყის დამუშავება სატყეო ტრესტის ქარხნებში.

ჩვენი პარტიის ორგანოებს გამოაქვთ დადგენილებები წარმოების რაციონალიზაციის შესახებ, მომჭირნეობის შესახებ, ყოველგვარ ნაყარის და ნარჩენების გამოყენების შესახებ. ტყის მრეწველობისათვის ყოველივე ეს თითქოს არც კი არსებობს. რომ ამ მხრივ რაიმე გაზვიადება არ დამწამოს ვინმემ, მომყავს აქ ამონაწერი ჟურნალიდან: „Народное Хозяйство Закавказья“ № 9, 1930 წ., წერილი: „Потери лесной промышленности Грузии“. („საქართველოს სატყეო მრეწველობის დანაკარგები“). ამ წერილის ავტორი **ვ. ზაკანდინი** ასე იწყებს: „ამიერ-კავკასიის ფედერაციის სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობის დანაკარგის საერთო ჯამი გამოიხატება საკმარისად დიდ თანხაში, რომელიც უდრის **4,5 მილ.** მან. საკუთრივ საქართველოს მონაწილეობა ამ დანაკარგში საკმარისად დიდია. არ იქნება გაზვიადება თუ ვიტყვით, **რომ დანაკარგი არის თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე,** დაწყებული ხის მოჭრიდან და გათავებული დამზადებული პროდუქციის მომხმარებლისათვის ჩაბარებით“. ავტორი შემდეგ კონკრეტულად ასახელებს, თუ სად, რომელ საწარმოში ან რა სამუშაოს შესრულების დროს აქვს ადგილი დანაკარგს საქართველოს სატყეო მრეწველობაში და ბოლოს ასეთი დასკვნა გამოყავს: „ამ ნუსხით სრულებით არ ამოიწურება მთელი დანაკარგი, რადგანაც არის კიდევ დანაკარგთა მთელი რიგი, რომლის ღირებულება ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული. თუ შევაჯამებთ ყველა აქამდის აღმოჩენილ დანაკარგს, ჩვენ ვღებულობთ საერთო ჯამს, რომელიც უდრის 2 მილიონ მანეთსო“. ასეთია ყოველწლიური ზარალი საქართველოს სატყეო მრეწველობაში. მაგრამ ეს სრულებით არ გამოხატავს მთელ ზარალს, როგორც ამას ზემოთ დასახელებული წერილის ავტორი ამბობს.

ყოველივე ეს მიმდინარეობს საქმის წაყვანის არ ცოდნით, უყურადღებობით, უყაირათობით და შეიძლება მავნებელთა მუშაობითაც. ადამიანს პირდაპირ გული ემღვრევა, როცა ყოველივე ამას ხედავს. თუ თქვენ დაათვალიერებთ ისეთ ქარხნებს, როგორიცაა მაგ. **ზუგდიდის და კოდორის სახერხი ქარხნები,** რომლებიც აგებულია თითქო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად, თქვენ ადვილად შეამჩნევთ, რომ ასეთ საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნებშიაც კი ადგილი აქვს დიდ უყურადღებობას და შეიძლება მავნებლობასაც. აბა რით აიხსნება ის გარემოება, რომ აუარება ნახერხის მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებენ როგორც სათბობ მასალას და დანარჩენს მდინარეში ყრიან. განა ამას ქვია „ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა“? განა არ შეიძლებოდა ამ ნახერხის გამოყენება, როგორც საშენი მასალისა ბრიკეტების სახით, როგორც ეს ხდება სხვაგან? ოღონდაც რომ შეიძლებოდა; მაგრამ ამაზე არავის უფიქრია. შემდეგ ეს ორივე ქარხანა ამზადებს განსაკუთრებით საექსპორტო მასალას; ამიტომ აქ შედარებით ბევრია დაწუნებული მასალა, ფიცრების სახით, რომელთაც ორივე ქარხანაში ან სწვავენ ან ჩალის ფასად ყიდიან და აქამდის ვერ მოიფიქრეს, რომ ამ დაწუნებული მასალიდან შეიძლებოდა ხილის ყუთების გაკეთება, რომლებიც ჩვენ მეტად გვესაჭიროება და რომლებსაც ვიკვეთავთ ციმბირიდან და უკრაინიდან. ამას ამჩნევთ თქვენ მხოლოდ ზერელე დათვალიერების საშუალებით. აბა უფრო დაწვრილებით შეისწავლეთ და ნახავთ, თუ როგორი გულგრილობა და ყოვლად დაუშვებელი უყაირათობა აღმოჩნდება. გეკითხებით: თუ ასეა საქმე დაყენებული საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნებში, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ის ქარხნები, რომლებიც არ არიან აგებული „თანახმად ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვისა“. აი სად უნდა ვეძიოთ სუსტი მხარეები და ვიწრო ადგილები სატყეო მრეწველობაში, და არა იმაში, რომ მას თითქოს ხელს უშლიან სხვა ორგანიზაციები. აი, სწორედ ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

სატყეო მრეწველობის გვერდით არის კიდევ ერთი დაწესებულება, რომელიც ითვლება ხე-ტყის საკმარისად მსხვილ დამამზადებელ ორგანიზაციად. ეს დაწესებულებაა **რკინის გზის სამმართველო.** რასაკვირველია, გზის სამმართველოს ამისთვის არ სცალია. ის ანდობს ამ საქმეს განსაკუთრებულ ორგანიზაციას, ეს კიდევ თავის მხრივ სხვადასხვა სახელგატეხილ წინანდელ სისხლის მწოველ „პოდრიადჩიკებს“. ის უკანასკნელები ამზადებენ რკინის გზისთვის ხე-ტყეს ისე, როგორც ისინი ამას ეწეოდნენ მეფის რეჟიმის დროს. სამწუხაროდ, ამ „პოდრიადჩიკების“ გაიძვერობა და თაღლითობა იქამდის მიდის, რომ იმათ გავლენის ქვეშ ვარდებიან ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგებიც. ერთი მხრით ეს ხალხი სრულიად დაუზოგველად ანადგურებენ ტყეებს, სადაც კი ხელში ჩაიგდებენ, მეორე მხრით, — ატყუილებენ ხის დამზადებაზე მომუშავე გლეხებს. რამდენჯერ არ დაწერილა გაზეთებში ამ ხალხის ოინებზე, იმათ მიერ ტყეების განადგურებაზე, რამდენჯერ არ მიუციათ ისინი პასუხისგებაში სასამართლოს წესით სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის: სახელმწიფო ფულების გაფლანგვა, მუშების დატყუილება, ანგარიშის გაუსწორებლობა, სატყეო კანონების დარღვევა და სხვ. და სხვ. მაგრამ არაფერი მათზე არ მოქმედობს. როგორც იტყვიან, ისინი წყლიდან თითქმის ყოველთვის მშრალი ამოდიან და ისევ წინანდელად განაგრძობენ ტყის მტაცებლურ ექსპლოატაციას, რაც იწვევს დიდ ზარალს მთელ სახალხო მეურნეობაში.

თუ ყველაფერი ეს რჩება დაუსჯელად, ეს აიხსნება იმით, რომ ისინი ამოფარებული არიან ისეთ დაწესებულებების ზურგის უკან, როგორიც არის რკინის გზა. რკინის გზის სამმართველო კი არ აქცევს ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას; ის დაინტერესებულია მხოლოდ საჭირო ხე-ტყის მასალის მიღებაში; სხვათა შორის რკინის გზის „პოდრიადჩიკები“ დიდი ხანია რაც ეწევიან ქვემო-სვანეთის ტყეების მტაცებლურ ექსპლოატაციას (ჩოლურის და ლენტეხის სატყეო აგარაკები). ეს ტყეები შეიძლება უკვე დალუპულად ჩაითვალონ. ეს გარემოება მრავალმხრივთაა სამწუხარო, უპირველეს ყოვლისა თვით ქვემო-სვანეთისა და ლეჩხუმისთვის და შემდეგ იმათ ქვევით მდებარე ადგილებისთვის. ამ ტყეების განადგურების უშუალო შედეგია ზამთრობით და ზაფხულობით **მდ. ცხენის წყლის** ძალზე დაკლება და გაზაფხულ-შემოდგომაზე დიდი წვიმების და თოვლის დნობის პერიოდში სამაგიეროთ ძალზე ადიდება, როცა ხსენებული მდინარე ამოდის თავის კალაპოტიდან და ლეკავს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება. რაც დრო გადის, ტყეების გაჩეხვის გამო, ცხენის წყლის ადიდება თანდათან და სისტემატიურად მატულობს. მდ. ცხენისწყლის თვითეული ასეთი ადიდება ნამდვილი უბედურებაა იმ ადგილებისათვის, სადაც ეს მდინარე გაივლის, მაგრამ ამისათვის განა იწუხებენ თავს ისინი, ვინც ამ უბედურების უშუალო მიზეზად ითვლებიან? რამდენადაც ვიცით, მიუხედავად, იმისა, რომ სათანადო ორგანოებმა აკრძალეს ხსენებულ აგარაკებში ხე-ტყის ექსპლოატაციის გაგრძელება რამოდენიმე წლით, რკინის გზის წარმომადგენლები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა ეს აგარაკები კვლავ ჩაეგდოთ ხელში საექსპლოატაციოდ. ამას ასაბუთებდნენ იმით, რომ თუ ეს აგარაკები მათ არ გადაეცათ, იმ შემთხვევაში საჭილაოს სახერხი ქარხანა ნედლი მასალის უქონლობის გამო უნდა დაიკეტოსო. მერე მისაღებია ეს მოსაზრება? განა შეიძლება ჩვენს დროში ასეთი მოსაზრებით გამართლებული იქნას ტყეების მტაცებლური განადგურება? მოჭრილი ხეების ადგილი ახალმა ტყემ უნდა დაიკავოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა განსაზღვრული პირობების შექმნა, და ეს თხოულობს, რომ ტყე დაისვენოს და იქ ტყის გასაშენებელი მუშაობა სწარმოებდეს. ამას თხოულობს ტყის რაციონალური ექსპლოატაციის წესები, მაგრამ ამას არ ცნობენ ისინი, ვინც ტყის ექსპლოატაციას აწარმოებენ.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა კიდევ საქართველოს ტყეების მდგომარეობის შესახებ. ვიმეორებ ამ ტყეების საფუძვლიანი გამოკვლევა ჯერ [illegible] არა გვაქვს. მაგრამ ზოგიერთი შეურყეველი ფაქტები და დაკვირვებები გვეუბნებიან, რომ ის ადგილები, რომლებიც არსებული ცნობებით ტყით დაფარულად ითვლებიან, უკვე დიდი ხანია, რაც გატიტვლებული არიან და წარმოადგენენ ხრიოკ და უსარგებლო ადგილებს, უკეთეს შემთხვევაში ბუჩქნარებს. ზოგიერთი ტყეები, როგორც, მაგ. ქობდიანის და ბორჯომის აგარაკები, რომლებსაც საკურორტო მნიშვნელობა აქვთ და მრავალი სხვა აგარაკები ამ უკანასკნელ დროს დაზიანდენ ძალზე არარაციონალური ექსპლოატაციის მეოხებით. მარელისის ტყე, რომელიც ერთ დროს გახთქმული იყო, ძალზე შეთხელდა, ასე რომ მოსპობის გზაზე დგას. ასე ითქმის კახეთის ტყეებზედაც, პანკისის და ახმეტის რაიონების გამოკლებით. ოზურგეთის მაზრის დასავლეთ ნაწილებში ტყეები უკვე გაიკაფა და იქ შეშაც კი აღარ იშოვნება. ასევე მოელის ხეთის აგარაკსაც ზუგდიდის რაიონში სულ მოკლე ხნის განმავლობაში.

მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აღვნიშნოთ აქ აგრეთვე ზოგიერთი სასიხარულო და დადებითი მომენტები საქართველოს სატყეო მეურნეობაში, რასაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. მე ვამბობ იმაზე, რომ ტყის მოვლა-პატრონობის და განახლების საქმეში უკვე დაიწყო გარდატეხა, უკვე ვამჩნევთ გადაჭრილ ნაბიჯებს როგორც საქართველოს **მიწსახკომის,** ისე **საკურორტო სამმართველოს** მხრით. ამ მიზნით მოწყობილია სანერგეები და სატყეო მეურნეობები, ხდება გატყევება საკმარისად დიდი ფართობების, როგორც ნერგების ან თესლის საშუალებით, ისე ბუნებრივი გზით. რა თქმა უნდა, ჯერ ეს მხოლოდ დასაწყისია. მე ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სატყეო მეურნეობაში გაჯანსაღების პერიოდი უკვე დაიწყო. ამიტომ ყოველგვარი ღონისძიებები უნდა იქნან მიღებული, რათა ეს დაწყებული საქმე ჩქარი ტემპით განვითარდეს.

ორიოდე სიტყვა კიდევ ტყეების მდგომარეობის შესახებ ჩვენს **ავტონომიურ ერთეულებში:** აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში. შეიძლება ითქვას სრული პასუხისმგებლობით, რომ ტყეების მოვლა-პატრონობა ამ რესპუბლიკებში ბევრად უარეს მდგომარეობაშია, ვინემ საკუთრივ საქართველოში. ფაქტიური მასალა ამის შესახებ მე ხელში არ მაქვს. მაგრამ უამისოდაც ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ აქ, რომ არც ერთ ზევით დასახელებულ რესპუბლიკაში ტყის მოვლა-პატრონობას, როგორც ამას თხოულობს თანამედროვე სატყეო მეურნეობა, ადგილი არა აქვს. ზედმეტია ლაპარაკი ტყის მოშენებაზე. პირადათ მე მქონდა შემთხვევა დამეთვალიერებია ტყე **ხულოს რაიონში** (აჭარისტანი), გოდერძის უღელტეხილიდან იმ ადგილებამდე, სადაც მოთავსებულია სახერხი ქარხანა. სხვა რაიონების შესახებ აჭარისტანში მე ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ რაც შეეხება ჩემს მიერ დათვალიერებულ რაიონს, ტყეების მდგომარეობა იქ პირდაპირ საზარელ სურათს წარმოადგენს. ტყის განადგურების საქმეში იქ, როგორც სჩანს არ დაუკლია ხელი არც ბუნებას და განსაკუთრებით არც ადამიანს, ეტყობა რომ აქ ტყეები არა თუ მოკლებულია ყოველგვარ მზრუნველობას, როგორც მოსახლეობის, ისე თვით ხელისუფლების მხრივ, არამედ აქ თითქო მიზნად დაუსახავთ ტყის მოსპობა. ვამბობ მხოლოდ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე. ეს დაუშვებელია, ეს დიდი დანაშაულია. ვიმეორებ, მე არ ვიცი რა მდგომარეობაშია ტყეები აჭარისტანის სხვა რაიონებში და თუ სხვა რაიონების მდგომარეობა ამ მხრით რამდენადმე წააგავს ხულოს რაიონის მდგომარეობას, მაშინ ჩვენ უნდა ვცნოთ ტყეების მდგომარეობა აჭარისტანში პირდაპირ კატასტროფიულად. და თუ დაუყოვნებლივ არ იქნა იქ მიღებული სასტიკი ღონისძიებები ტყეების დასაცავად, ტყეებს იქ სულ ახლო ხანში სრული მოსპობა მოელის. რამდენადაც მე ვიცი, ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს აგრეთვე **აფხაზეთშიაც და სამხრეთ-ოსეთშიაც.**

ამიტომ აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს ამ ავტონომიებში გარდატეხა ტყეების მოვლა-დაცვის და განახლების საქმეში.

ზევით ნათქვამიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობენ.

1. ტყეს აქვს მრავალმხრივი და უდიდესი მნიშვნელობა ხალხთა ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდია ტყის როლი იმ ქვეყნებში, სადაც ბევრია მთები, ფერდობები და ხევები. ასეთ ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის ამიერ-კავკასია და განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელსაც საქართველო შეადგენს. თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველო და მასში შემავალი ავტონომიები (აჭარისტანი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) თავისი მინერალური და **სამკურნალო წყლებით,** თავისი საუცხოვო რბილი ჰაერით, სადაც ზღვის და მთის ჰავა ერთად შეზავებული ქმნის საუკეთესო პირობებს კლიმატიურ სადგურების მოსაწყობად, **სადაც ჩვენ გვაქვს ისეთი კურორტები, როგორც აბასთუმანი, ბორჯომი, გაგრა, წყალტუბო, შოვი, ქობულეთი** და სხვა. ერთის სიტყვით, თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, საქართველოს ტყეებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეცეს არა მარტო **დაცვითი,** არამედ იმავე დროს **საკურორტო მნიშვნელობა.** რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ტყეებს ამავე დროს არ აქვს სამრეწველო მნიშვნელობა; მაგრამ პირველ რიგში მათ აქვთ დაცვითი ხასიათი და საკურორტო მნიშვნელობა ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

2. მეორე დასკვნა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს პირველი დებულებიდან მდგომარეობს იმაში, რომ ტყის დაცვის საქმე უნდა მიენდოს სავსებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკურორტო სამმართველოს, და არა იმ ორგანოებს, რომლებიც ტყის ექსპლოატაციას აწარმოებენ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ ამიერ კავკასიის და კერძოდ საქართველოს ტყეების შესახებ. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ სატყეო მეურნეობა მჭიდროდ დაკავშირებულია მთელ **სახალხო მეურნეობასთან,** ქვეყნის მთელ ეკონომიკასთან და არა რომელიმე ერთ მის დარგთან, თუ გინდ მრეწველობასთანაც. მაგრამ განსაკუთრებით დიდია სატყეო მეურნეობის კავშირი სოფლის მეურნეობასთან და **ჩვენში კიდევ ჯანმრთელობის საქმესთან.** ის მოსაზრება, რომ ტყე და სატყეო მეურნეობა ჩვენში და საერთოდ ა. კავკასიაში მხოლოდ მრეწველობასთან იქნას დაკავშირებული, მხოლოდ მრეწველობისაგან უნდა იქნეს დამოკიდებული და ამიტომ მისი მოვლა - პატრონობა, მისი დაცვა, და საერთოდ ყოველივე სატყეო კულტურული მუშაობა როგორც ტყის განახლების, ისე მისი ფართობის გადიდებისთვის მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობას უნდა დაეკისროს სავსებით, ვიმეორებ, ასეთი მოსაზრება შეუძლებელია მიღებულ იქნას. სწორედ ამასვე ამბობს საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებაც, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ და რომლის სავსებით გატარებას ცხოვრებაში იწინააღმდეგებიან ა. კავკასიის მრეწველობის ზოგიერთი წარმომადგენლები, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

3. გამოვდივართ რა ზევით აღნიშნულ ძირითად დებულებებიდან, ჩვენ ვცნობთ, რომ ტყის და სატყეო მეურნეობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგანაც ტყეების არსებობაში, იმათ ზრდა-განვითარებაში არსებითად დაინტერესებულია მთელი მშრომელი ხალხი. პირველ ყოვლისა ტყეების მნიშვნელობაში და იმათ უდიდეს როლში ხალხის ცხოვრებაში სახელმწიფომ, პარტიამ და ხელისუფლებამ უნდა დააინტერესოს გლეხ-კაცობა, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას ტყესთან და ყველაზე უფრო შეუძლია მიიღოს აქტიური მონაწილეობა ტყის დაცვაში და მის მოვლა-პატრონობაში.

4. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა ტყე ტყეილა-უბრალოდ არ იჩეხებოდეს, რათა ხე-ტყის გამოყენება, როგორც სათბობი, ისე საამშენებლო მიზნით ხდებოდეს რაციონალურად და **მიზანშეწონილად, რათა ტყის ექსპლოატაცია მრეწველობის** და სხვა დაწესებულების მიერ ხდებოდეს თანახმად ამის შესახებ არსებულ კანონების საფუძველზე და ეს კანონები სასტიკად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. გარდა ამისა ჩვენში საყოველთაოდ უნდა აკრძალულ იქნას ყავრის ახდა, რა საქმესაც ის არ უნდა ხმარდებოდეს, თანდათან შეზღუდვილ იქნას შეშის მოჭრა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, პირველ ყოვლისა კი ქალაქებში, სადაც საჭიროა მის მაგიერ ქვანახშირის ხმარების შემოღება ფართო მასშტაბით.

ამასთანავე უნდა გაძლიერდეს ღონისძიებანი **გატყევების საქმის** მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

ყველა ეს ღონისძიებანი არა თუ უზრუნველყოფენ ტყეების იმ ფართობების შენარჩუნებას, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, არამედ ხელს შეუწყობენ აგრეთვე ტყეების არსებულ ტერიტორიების გაფართოებასაც.

ფ. მახარაძე.

ქრონიკა

6 ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგური

ა.-ქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-ქ. მიწსახკომის პროექტი 13 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ორგანიზაციის შესახებ ა.-კავკასიაში. აღნიშნული პროექტის თანახმად, საქართველოში ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მოეწყობა ზუგდიდის, ლანჩხუთის და ყარაიას რაიონებში.

პასუხი უნდა აგონ

საქ. პროფსაბჭომ მუშგლეხნის ორგანოების წინაშე დასვა საკითხი იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებმაც განკარგულება გასცეს 20 ოქტომბრიდან შეკერილი ტანსაცმელის ორდერების გაუქმების შესახებ.

განკარგულება ორდერების გაუქმების შესახებ არ იყო შეთანხმებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მან პანიკური განწყობილება შექმნა მუშკოოპის წევრებს შორის, რომლებსაც ორდერები ჰქონდათ.

15 ტრაქტორი ქუთაისის საბჭოთა მეურნეობას

ქუთაისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას საკავშირო მიწსახკომმა სტალინგრადიდან გამოუგზავნა „ინტერნაციონალის" სისტემის 15 ტრაქტორი.

რკ. გზის საამშენებლო ტეხნიკუმი ქუთაისში

ქუთაისში გაიხსნა რკ. გზ. საამშენებლო ტეხნიკუმი. ამ დღეებში დაიწყებს სწავლას საამშენებლო სკოლა 120 მოწაფით.

4 მილ. მანეთის შეკერილი ტანსაცმელი

ოქტომბერ - დეკემბრის განსაკუთრებულ კვარტალში ამიერ - კავკასია მიიღებს 4 მილ. მანეთის შეკერილ ტანსაცმელს.

სხვადასხვა

◆ 25 ოქტომბერს შესდგება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სპეციალური სხდომა სატყეო მეურნეობის საკითხებზე.

— უმუშევარი მოანგარიშეები, ბუხჰალტრები, ტეხნიკოსები, მებეტონეები, კალატოზები, დურგლები, მჭედლები, მხაზველები და შავი მუშები, რომელნიც ირიცხებიან სახალხო მეურნეობის მუშა - ხელით მომარაგების ცენტრალურ სექტორის (შრომის ბირჟის) რკინის გზის სექციაში, უნდა გამოცხადდნენ დღეს, სექციაში, საიდანაც გაიგზავნებიან სამუშაოზე.

დანარჩენი უმუშევრების გამოცხადება დანიშნულია ა.-წ. 24 და 25 ოქტომბერს.

უმუშევრების არ გამოცხადება გამოიწვევს მათი აღრიცხვიდან მოხსნას.

— რუსთაველის თეატრთან არსებულ ექსპერიმენტალურ სახელოსნოში დამატებითი გამოცდები დანიშნულია კვირას, 26 ოქტომბერს დილ. 12 საათზე. განცხადებების მიღება გრძელდება. კომკავშირელებს და მუშათა ორგანიზაციებიდან მოსულ ამხანაგებს ვთხოვთ წარმოადგინონ სათანადო მოწმობები.

თათბირი ადმინ.-სამ. ხარჯების შემცირების

ერთთვიურის ჩატარების შესახებ

გუშინ, ამხ. არუთინოვის თავმჯდომარეობით საქ. მ. გ. ინსპექციაში, შესდგა თათბირი საბჭოთა აპარატის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების ერთთვიურის ჩატარების შესახებ. თათბირმა მოისმინა ა. ქ. მ. გ. ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. ბალახლინსკის ინფორმაციული მოხსენება ერთთვიურის ჩატარების შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო, მოწვეული იქნეს საქალაქო საერთო ფართო თათბირი კომუჯრედების, კომკავშირის უჯრედების მდივნების ადგილკომების, დაწინაურებული მუშების და ფართო პროფაქტივის თანდასწრებით, სადაც უნდა დამუშავდეს საკითხი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების ერთთვიურის ჩატარების შესახებ.

მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა საყურადღებოთ!

1 ნოემბრიდან განახლდება ჟურნალ

„საქართველოს მუშგლეხკორი"-ს

◇◇◇◇◇◇◇◇ გამოცემა ◇◇◇◇◇◇◇◇

ჟურნალისათვის მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთ. პრ. № 16, „კომუნისტი"-ს რედაქციას, „საქ. მუშგლეხკორისათვის".

ხელის მოწერა მიიღება: გაზეთების ყველა კონტრაგენტებთან, ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორებში და „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში: თბილისი, რუსთ. პრ. № 34.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით—2 მან.—6 თვით—1 მან.—3 თვით—50 კაპ.

ცალკე ნომერი—ორი შაური.

უმუშევრობის ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიაში უმუშევრობის ლიკვიდაციის შესახებ ა.-ქ. შრომის სახალხო კომისარმა ამხ. რაგიმოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებას უმუშევრების სამუშაოზე გაგზავნისა და უმუშევრობის გამო დახმარების შეწყვეტის შესახებ უეჭველად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს—ის დროული აქტია, რომელიც გამომდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის მომართვიდან.

განვითარების გზაზე დამდგარმა ამიერ-კავკასიის მრეწველობამ ჩაითრია უმუშევართა ძირითადი კადრები და ამით თითქმის მოსპო კვალიფიციური და აგრეთვე არაკვალიფიციური მუშათა უმუშევრობა. თუ ჩვენ 1929 წლის სექტემბერში გვყავდა 50.000 მეტი უმუშევარი, 1930 წლის 1-ლ აპრილისათვის კი 60.000 მეტი, 1930 წლის 1-ლ სექტემბრისათვის უკვე უმუშევართა რიცხვი შემცირდა 33.000-მდე, ამასთანავე ამ 33.000 დან 46 პროც. შეადგენენ ქალები. ყველა უმუშევრებიდან დაახლოვებით 40 პროც. იღებს დახმარებას უმუშევრობის გამო, რაც 3,5 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს წელიწადში.

თითქოს მუშა-ხელის იმ დეფიციტის დასაფარავად, რომელსაც ადგილი აქვს მრეწველობაში, საამშენებლო სამუშაოებზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში და ამ დარგების გაფართოებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩვენ საკმაო მარაგი მოგვეპოვება, მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის: ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში (მშენებლობა, ბამბის შეგროვება, თამბაქოს აკრეფა) ადგილი აქვს მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობას და ჩვენ არ შეგვიძლია მივაწოდოთ მათ მუშა-ხელის მინიმალური რაოდენობა, იმ დროს, როდესაც ყველა შრომის ბირჟებზე ირიცხება 33.000 უმუშევარი, მათ შორის 12.000 კაცი ისეთი, რომლებიც დახმარებას იღებენ უმუშევრობის გამო. მუშა-ხელის მწვავე დეფიციტის დროს მილიონების გაცემა დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამას წინად გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატის დადგენილება უმნიშვნელოვანესი აქტია, რომელიც აშკარავებს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს მონაპოვარს, სახელდობრ იმას, რომ სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში უმუშევრობა ძირითადათ უკვე მოსპობილია, იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალ და ახალ ათეულ ათას უმუშევრებს ერეკებიან ქუჩაში.

ეს დადგენილება დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს აკისრებს შრომის ორგანოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს და პროფკავშირებს: ამ დადგენილების საფუძველზე საჭიროა მიღებული იქნეს ზომები, რომ ეს მარაგი გამოყენებული იქნეს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების შესასრულებლად, ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა ადგილების დასახმარებლად რესპუბლიკებში დაგზავნა ბრიგადები და მისცა მათ მითითებები, თუ როგორ უნდა გაატარონ პრაქტიკულად (ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილება; ამას გარდა განსაკუთრებული კვარტალის ანგარიშში გადადებულია 280.000 მანეთი უმუშევრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. ადგილებს წინადადება მიეცათ სასწრაფოდ გაიგზავნონ უმუშევრები სამუშაოზე ან გადასამზადებლად კურსებზე; იმ შემთხვევაში, თუ უმუშევრები უარს იტყვიან შეძლეულ სამუშაოზე ან კურსებზე წასვლაზე, მათ უნდა მოესპოთ დახმარება და მოხსნილი უნდა იქნენ შრომის ბირჟის აღრიცხვიდან; უკანასკნელი ღონისძიება ეხება აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც არ იღებენ დახმარებას უმუშევრობის გამო.

ძირითადი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე, მდგომარეობს იმაში, რომ დაუყოვნებლივ ფართოდ გავშალოთ მუშაობა კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად და გავაფართოვოთ უმუშევართა გადასამზადებელი კურსები, რომ დროზე მივაწოდოთ მუშა-ხელი მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტს და სოფლის მეურნეობას და ამით არ შევაფერხოთ სოციალისტური მშენებლობის ტემპი. ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება.

თბილისი.—ტრამვაის ბოძების დადგმა ბრძოლის ქუჩაზე

როგორ ემზადება ა.-კ. რკინის გზა

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ა.-კ. რკინისგზის დირექტორის მოადგილემ და გაზ. „პრავდა"-ს საგუშაგოს ხელმძღვანელმა ამხ. პ. ორჯონიკიძემ შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადების შესახებ განაცხადა:

— ა.-კ. რკინისგზების მუშაობა უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, მეტად გაიზარდა რიცხვობრივად და გაუმჯობესდა თვისობრივად. წინასწარი ცნობებით, გზის 1929-30 წლის პროდუქცია 16,3 პროც. აღემატება წინა წლის პროდუქციას. საბარგო ვაგონის საშუალო გარბენა დღე-ღამეში, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 9 პროც. გაუმჯობესდა ორთქლმავლების გარბენა—სამგზავრო ორთქლმავლების 16,7 პროც. და საბარგოსი—9,3 პროც. დაზიანებულ ორთქლმავლების პროცენტი მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის 18,5 პროცენტიდან შემცირდა 10,4-მდე.

მაგრამ გზის მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ დარგებში გზათა სახალხო კომისარიატის დავალება ჯერ არ არის შესრულებული. ეს აიხსნება შრომის დისციპლინის სისუსტით, გზის მასალებით სუსტად მომარაგებით და მუშაობის არასაკმარისი ტემპებით ადგილებზე.

მუშაობა გზის მოსამზადებლად შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის დაწყებული იყო ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვლიდან. წინასწარი გეგმა, რომელიც შემდეგ გადამუშავებული იქნა, თავის დროზე მიეცა ხაზზე, სადაც ფართოდ გაიშალა მუშაობა ამ გეგმის მიხედვით. მთავარი მუშაობა, როგორიც არის ხაზების გამტარიანობის უნარის გადიდება, საწყობების შეკეთება, სადგურების გაფართოება, წყლის და მექანიკური მოწყობილობის მომარაგება, შესრულებულია 100 პროც., გარდა ცალკე, ნაკლებ მნიშვნელოვან სამუშაოებისა მეორე ხაზებზე, რომლებიც ჯერ მთლიანად არ არის დასრულებული.

მთავარი დაბრკოლება, რომელსაც გზა განიცდის—ეს არის მასალების ნაკლებობა. ჩატარებულმა მოსამზადებელმა მუშაობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გზის ტეხნიკური მდგომარეობა და საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რკინისგზა შეუფერხებლად ჩაატარებს გაძლიერებულ ტვირთზიდვას, რომელიც მოსალოდნელია ა.-კ. რკინისგზაზე ზამთარში.

დიდ შიშს იწვევს კლიენტურის უდისციპლინობა და საჭაპანო ტრანსპორტის ნაკლებობა. სრულიად ცალკე უნდა გამოიყოს საკითხი ნავთის პროდუქტების ჩასხმის შესახებ.

ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, ოქტომბრის განმავლობაში დღე-ღამეში ნავთი ჩასხმული უნდა იქნეს 580 ცისტერნაში, მაგრამ ეს გეგმა ვერ სრულდება, მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია ყველა ზომები ცისტერნების მოძრაობის მოსაწესრიგებლად. გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება ცისტერნების ნაკლებობით, რაც თავის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ ჩრდილოეთის გზები დროზე არ აბრუნებენ ცისტერნებს. ცენტრის მრავალი განკარგულება ამ მხრივ არ სრულდება. ნავთის ჩასხმის გეგმა ირღვევა.

დღევანდელი დღის მთავარი ამოცანაა—მივაღწიოთ ცისტერნების თავის დროზე დაბრუნებას ა.-კ. რკინისგზებზე. აუცილებელია განსაკუთრებული ზომები ამ ამოცანების შესასრულებლად, რათა გაძლიერდეს ნავთის ჩასხმა და დაფარული იქნეს დავალიანება ნავთის პროდუქტების ექსპორტის დარგში.

ადმინისტრატიული ხაზით მიღებულ ღონისძიებებისაგან დამოუკიდებლად, გაცხოველდა გაზ. „პრავდა"-ს საგზაო დამკვრელ საგუშაგოს მუშაობა. საგუშაგოს მუშაობა მიმართულია შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვის, ხუთწლედის მესამე წლის და შემხვედრი სატრანსპორტო საწარმოო - საფინანსო გეგმის ამოცანების შესრულებისაკენ.

„პრავდა"-ს საგუშაგოები მოწყობილია აგრეთვე რაიონულ სამმართველოებთან და განმანაწილებელ სადგურებთან; საგუშაგოების შემადგენლობაში შედიან პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების, პრესის და „მსუბუქი კავალერიის" წარმომადგენლები. გამოყოფილია ხუთი დამკვრელი ბრიგადა დირექციის კვალიფიციური მუშა-ხელის შემადგენლობიდან, რომლებიც იმუშავებენ ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ინჟენერ - ტეხნიკოსთა ძალების მასა ამოძრავდა და ერთსულოვნად ეხმარება საგუშაგოს დასახულ ამოცანათა შესრულებაში.

ამჟამად შემუშავებულია რაიონების და სადგურების საგუშაგოების პროგრამა და მოსმენილია მთელი რიგი მოხსენებები გზის მუშაობის მნიშვნელოვან დარგების შესახებ.

საგზაო საგუშაგოს მიერ შემუშავებული ღონისძიებები დაუყოვნებლივ იქნა შეთანხმებული და გადაეცა სათანადო ორგანიზაციებს შესასრულებლად. ეჭვს გარეშეა, „პრავდა"-ს საგუშაგო დიდ სარგებლობას მოიტანს და გააძლიერებს საზოგადოებრივობის მუშაობას შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის ხელის შეწყობის დარგში.

თბილისი. ფეხბურთელთა თამაში ლენინის სახელობის სტადიონზე

კეიფი მუშკოოპის სავაჭროში

ტრამვაის მუშათა დახურული გამნაწილებლის № 450 გამგე **ბაგრატ ბაჩიაშვილს** თავის ირგვლივ შემოკრებული ჰყავს ისეთი ელემენტები, რომლებიც მუსრს ავლებენ მუშკოოპში მიღებულ საქონელს. 20 ოქტომბერს მუშკოოპის გამგემ მოაწყო ქეიფი მუშკოოპის საწყობში. გამგეს გვერდს უმშვენებდნენ **გიორგი შუბლაძე** (ამავე მაღაზიის საბაკალეინო განყოფილების თანამშრომელი), **ბოლოთაშვილი** (ცენტრალური მაღაზიის თანამშრომელი), **სომხიევი** (ამავე მაღაზიის თანამშრომელი) და **დიდუბლიანცი**, რომელიც მაღაზიის გამგეს საწყობის კარებში ყავდა დაყენებული მზვერავად.

ტრამვაის სადუქნო კომისიის მაღაზიაზე თავდასხმის დროს, დიდებულიანცი გადაეღობა კომისიას და არ უშვებდა საწყობში, სადაც მუშკოოპის თაიგულები ქეიფობდნენ. სადუქნო კომისიამ აღმოაჩინა გამგე და მისი სტუმრები ძალზე გალეშილები. გამგეს მაღაზია ჩატოვებული ჰქონდა და ქეიფს შეექცეოდა. ასეთ მოვლენებს წინადაც ჰქონდა ადგილი. მუშკოოპის თანამშრომლებმა ყოველივე ეს კარგად იციან, მაგრამ დღემდე ეს საიდუმლოება ინახებოდა. უეჭველია, მაღაზიაში ბოროტმოქმედებასაც ექნება ადგილი.

მეთვალყურე

შემთხვევები

— **თავის მოწამლა.** მიხეილ გრიგოლის ძე აზრუმელაშვილმა (მაგისტრალის ქ. № [illegible]) იოდის ხსნარით მოიწამლა თავი. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და სიკვდილს გადაარჩინეს.

— **დაჯახება.** სამხედრო ქუჩაზე ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი სილდოვსკი, დაეჯახა საბედ ივანეს ძეს ედგაძეს ურემს, რომელიც ძლიერ დააზიანა.

— **ჯიბგირობა.** ტრამვაის ვაგონში ვიქტორ ალექსის ძე ხუნდაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 56 მან. და საბუთები.—ელენე კოლკავას ჯიბიდან ამოაცალეს 150 მანეთი.

— **ქურდობა.** გაქურდეს მიხეილ ივანეს ძე შენგელიას ბინა (ფარკოფელის ქუჩა № 24), საიდანაც მოიპარეს 400 მან. ნივთები.—მაქრინე ბოლქვაძეს (გოგოლევის ქუჩა № 61), მოპარეს 300 მან. ნივთები.

— **დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალაბაბა გაჯიევი და ანტონ გიორგის ძე უგრეხელიძე, რომლებსაც აღმოაჩნდათ კოოპერატივებიდან გამოტანილი შაქარი პატარ-პატარა პარკებში სულ 45 ფუთი და 377 ცალი ძვირთასი ჩაი. დაპატიმრებულ უგრეხელიძეს (იგი არ არის ჩაწერილი საბინაო დავთარში და არსად მსახურობს) აღმოაჩნდა სასურსათო წიგნაკი და რამოდენიმე სხვა მოქალაქის სახელზე გაცემული მუშკოოპის წიგნაკები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საფ. კოოპ. ინსტიტუტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ 23 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, სტუდენტთა კლუბში მოწვეულია კომკავშირის და უპარტიო აქტივის საერთო კრება. დღის წესრიგშია მსუბუქი კავალერიის შტაბის არჩევნები.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკ. კომისია სთხოვს ამხ. დავით დოლიძეს გამოცხადდეს 23 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ცენტრ. საკ. კომისიაში ამხ. ლომიძესთან (ოთახი № 7).

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კადრების განყოფილება სთხოვს ამხ. ბოგდან ერისს და პელიძეს, რომლებიც დამტკიცებულნი არიან ხორცის და მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორების კურსებზე მოსკოვში, სასწრაფოდ გამოცხადდნენ ც. კ-ში ოთახი № 50.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგიტგანყოფილებაში 23 ოქტომბერს, დილის 11 საათზე მოწვეულია თათბირი პაის დაგროვების საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდნენ ცეკავშირის, ს. პ. კ. ს., თბილისის მუშკოოპის გამგეობის, კოლმეურნცენტრის, ბინათკავშირის, საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის, ლენინიკომის, ქალაქის რაიკომის და 26 კომ. სახ. რაიკომის აგიტ-განყოფილების წარმომადგენლები სათანადო მასალებით კამპანიის მსვლელობის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ფაიყ ვანაძეს საჩქაროდ გამოცხადდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ამხ. ლომიძესთან (ოთახი № 7).

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ლენრაიკომი იუწყება, რომ 28 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის ფოიეში მოწვეულია კომუჯრედებისა და ა.— ლ. კ. კ.-ის ყველა მდივნების, ფაბქარხადგილკომების ფრაქციების, საბინაო ამხანაგობათა თავმჯდომარეების, კლუბთა გამგეების, კავშირთა ცენტრ. გამგეობების, სამხედრო ნაწილების და წითელარმიელთა კლუბების წარმომადგენელთა კრება.

რაიონული კომიტეტი ავალებს უჯრედთა მდივნებს ფართოდ აცნობონ ამხანაგებს კრების დღე და საათი. ჩამოთვლილ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღის წესრიგი:

1. საღელეგატო კრებათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.
2. მზადება ოქტომბრის რევოლუციის 13 წლისათვის.
3. კოოპერატიულ კომისიათა ბიუროს გადარჩევის მიმდინარეობა.
4. პარტგანათლების ქსელის გაშლის მიმდინარეობა.
5. სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო საწარმოზე.

სახელმწ. ოპერა

ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს მე-6 აბონ. I წარმ. **თავადი იგორი**

პარასკევს 24 ოქტომბერს რემედასის წარმოდგენა **აბესალომ და ეთერი**

შაბათს, 25 ოქტომბერს მე-8 აბონ. I წარმ. **ჩიო-ჩიო-სან**

წარმოდგ. დასაწყ. საღ. სრულ 8 საათზე. ვინც წარმოდგენის დაწყებისას დაიგვიანებს დარბაზში არ იქნება შეშვებული.
ვისაც აბონემ. მე-2 გადასახ. შეტანილი არა აქვს, წარმოდგენაზე არ იქნება დაშვებული.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო — I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
სპარტაკი — I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
საზაფხ. ეთერი — I სეანს. დასაწყისი 8 საათზე.
საზამთრო დარბაზი — I სეან. იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

დადგმის მეორე კვირა **გაყრა**
რეჟისორი გ. მაკაროვი, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი.
ყურადღება: კინო სპარტაკი ღიაა ყოველდღე დილის 11 საათიდან საღამოს 10 ს. 30 წუთამდე. როგორც დღისით, ისე საღამოთი კინოში უკრავს ორკესტრი.

გრეტა მოხხემ უცხოეთის სურათში **მწვანე შესახვევი**

საუკეთესო სურათი **ცოლი** პოპოვას და ბატალოვის მონაწილეობით.

რ. ლიძს. სახ. კინო (ყ. მინიონი) I-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ. — კინო-შემოქმ. კლასიკ. ნიმუში **გაზაფხულზე** ფილმი ცნობილია საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევად.

საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 7 საათ. — უცხოეთის ახალი ფილმი **უკანასკნელი მაურანა** სურათ „ატლანტიდა"-ს გმირის ნაპერკოვსკაიას მონაწილეობით.

მალე

„ვოსტოკკინოს" მხატვრული ნაწარმოები **მიწას ზღურია**

მხატვრული დრამა **სიმღერა პირველი კალიშვილის შესახებ**

„სოიუზკინო"-ს ნაწარმოები.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეებისათვის

საქართველოს სახკინმრეწვი უშვებს

საპოლიტგანმანათლებლო ფილმებს:

ზოომინიმუმი, აგრომინიმუმი, ჩვენი შემოდგომის კამპანია

ახლო მომავალში დამთავრდება

ახალი სოფელი, სილოსი.

ნ. 1638

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონარული

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახე

ელექტრონით მკურნალობა, ნახშირ-მჟავა, ვანები, სინათლით მკურნალობა მეხანოთერაპია, რენტგენორადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენო-დიაგნოსტიკა

შინაგანი სნეულებანი (გულის) სპეციალური სნეულებანი, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის და საჭმლის მომნელებელი ორგანოების სნეულებანი, რევმატიული სნეულებანი და სხვ.)

ნერვიული და ქალის სნეულებანი

კონსულტაცია: ქალთა სნეულ. 12-დან 1-მდე პროფ. გ. ღამბარაშვილი—სამშაბათი და პარასკევი.
შინაგან სნეულ. 12-დან 1-მდე ექ. ჯავახიშვილი სამშ. და პარასკ., ნერვიულ სნ. 11-დან 12-მდე ექ. გ. კონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველდღე 9 ნახ. 1 საათამდე.
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8 ნახ. 10 ნახ. საათამდე.
საღამოთი ავადმყოფთა მიღება საღ. 5-დან 8 საათამდე, გარდა კვირა დღისა. ავადმყოფთა ჩაწერა 4 საათიდან 7-ნახ. საათამდე, გარდა კვირა დღისა.

ნერვ. სნ. 7—8 ს. პროფ. ხ. ყიფშიძე სამშ, ხუთშ., შაბათობ.
შინაგანი სნ. 6—7 ს. ექ. ნ. გეგეჭკორი ყოველდღე.
ქალთა და საბებიო სნ. 5—6 ს. ექ. ე. ხობასტიანსკი—ყოველდღე.
ყურის, ყელის, ცხვირის სნ. 7 ½ ს. ექ. დ. თევზაძე ყოველდღე.
ბავშვთა სნ. 5—6 ს. ექ. ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
კანის სნ. და სიფილისი—5—6 ს. ექ. ა. ჯავრიშვილი—ყოველდღე.

გადასახადი პოლიკლინიკაში ავადმყოფების მიღებისთვის: კავშირის წევრები—1 მან., დანარჩენი 2 მან.

მიიღება ყოველგვარი კლინიკურ—დიაგნოსტიური ანალიზები.

მკურნალობის პირობების შესახებ იკითხეთ ინსტიტუტის კანცელარიაში, შეიძლება ცნობების მიღება წერილობით და ტელეფონით № 15—87.

ნ. 1530 25—1

ვამზადებთ მოწაფეებს:

10 წლედის და 7 წლ. დასამთავრებელ მოწმობისათვის. სდგება აგრეთვე ჯგუფები: საბუხჰალტრო კურსებზე, შვიდწლედებში და მუშფაკებში შესასვლელად.
პირობები გაიგება:
1. კარგარეთელის ქ. № 3-A. 4-5 საათამდის. (კინო აპოლოს მახლობლად).
2. გოგებაშვილის მე-2 შესახვევი № 20 (ყოფ. პეტროვის ქუჩის მეორე გასავალი).
10—12 ს. და 4—6 საათამდე.
10—10 5883

მოკლე ხანში გავდივარ

მათემატიკას:

ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკა და ვამზადებ მოწაფეებს უმაღ. სასწავლებლისათვის 7 წლედის და სიმწიფის მოწმობაზე, მუშფაკისათვის, მუშათა უნივერ., საბუჰალტ. კურსებზე, შვიდწლედის მე-6 და მე-7 ჯგ. შესასვლელად და აგრეთვე ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც.

მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე.
ნახვა 1 7 საათამდე. 2—1

სულ მოკლე ხანში

ვასწორებ

ხელს წერაში

რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.
2—1 ქვ. 6549

ექიმი

ლ. ა. ფაღავა

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება საღ. 6—8 საათამდე. კლ. ცეტკინის ქ. № 148 (ელისაბედის) რკ. გზ. სამმართველოს ახლოს. ტელეფონი 10-54. 5002 25—21

მუშკოოპის მიერ **ხორცის გაცემა**

საწყობებში შეშის უქონლობის გამო

დროებით არ სწარმოებს

რაიონებიდან შეშის მიღება მოსალოდნელია ა. წ. 10 ნოემბრისათვის.

შეშის გაცემის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული: მეპაიები, რომლებსაც შეშის ფული შეტანილი აქვთ, უზრუნველყოფილი იქნებიან შეშით.

ცნობებისათვის მიმართეთ ხათბობ განყოფილებაში, ტელ. 27—43, მაზუთის შესახ. № 5. ნ. 1631

ამიერ.-კავ. ხე-ტყის და ქაღალდის

მრეწველობის ტრესტს

ესაჭიროება:

1) სამუშაოთა მწარმოებელი
მდ. კოდორის რაიონში გამოკვლევებისა და მუშაობის დამოუკიდებლად საწარმოებლად ხე-ტყის ტრანსპორტის ნაგებობათა მშენებლობის დარგში.

2. ტეხნიკოსი
ზემო-სვანეთის რაიონში მუშაობის საწარმოებლად ხე-ტყის ტრანსპორტის ნაგებობათა მშენებლობის დარგში.

ხელფასი შეთანხმებით.

2—1 ნ. 1630

გაზ. „კომუნისტი"-ს კანტორა

სთხოვს ხელისმომწერლებს,

განსაკუთრებით პროვინციელებს,

რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა რაიმე ცვლილებების შეტანა მათ მისამართებში, ან გაზეთებს უწესრიგოდ იღებენ, აუცილებლად აჭრონ გაზეთიდან და გამოგვიგზავნონ წერილთან ერთად ის მისამართი, რომლითაც გაზეთი ეგზავნებათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი წერილები, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

ამასთან ერთად მისამართის შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან გადმოგზავნონ კანტორაში 25 კ. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად.

0—3

საქართვ. წითელი ჯვრის

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)

საავადმყოფო და პოლიკლინიკა

კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ღამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ. გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.

პოლიკლინიკა:

ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს
ტუბერკულოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე. ½ 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4—6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ხ. ყიფშიძე 3—4 ს
„ პროფ. მ. წინამძღვრიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ხ. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე
კუჭ-ნაწლავებთა დაავადებანი ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.

პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადაახდებათ ერთი მან.

გამოცდილი კალიგრაფი-ბუხჰალტერი

საბუხჰალტრო კურსებზე

შემსვლელებს ამეორებინებს მათემატიკაში, აგრეთვე, მოკლე ხანში მცირემცოდნეთ ასწავლის მთელ რიცხვების და წილადების ოთხ მოქმედებას, პროცენტების გამოანგარიშებას და აცნობს პრაქტიკულად ბუხჰალტერიას.

მსურველებს ასწავლის

ლამაზსა და ჩქარ წერას

ხელმისაწვდომ ფასებში სულ მოკლე ხანში უსწორებს ხელს წერაში. აღნიშნულ საგნებში მაცადინობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე.

ალავერდის მოედანი, ახოსპირელის 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3. (დერმონტოვის ქუჩ. № 2-ის მახლობლად). 2—2

სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ

კლინიკაში

(პლეხანოვის პრ. № 126), დაიწყო ავადმყოფების უფასოდ მიღება (პირის ღრუს, ყბების და კბილების მკურნალობა). ხელოვნური კბილების ჩასმა კი იწარმოებს თვითღირებულების ფასებში. ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის საათებში.
25—2 6653

ექიმი

პ. ს. ფონ-ირტელი

სპეც. საშარდე და სასქესო ორგანოების (სქესობრივი სისუსტე), ნერვების სისუსტე), სიფილისის, კანის ავათმყოფობის, ვენერიულის (რიპტერი) და ქირურგ. ავათმყ. (სიმსივნე, ბუასილი). ავათმყოფების მიღება დილის 9—12 და საღ. 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად.
13—8

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მახაჟო სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დახაცავათ, ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

ი. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებანი. ღებულობს 6—7 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15-02. 5112 25—10

დაბრუნდა ექ.

დ. ლ. თევზაძე

დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია, სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდები. ჰონქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მის ღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირადღეებისა. 25—12 5116

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა
ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.
25—4 5604

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ელსმენი № 5—90. 6243

პლატონ კეშელავა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს, რომ მისი საყვარელი დედა

დესპინე კეშელავასი

გარდაიცვალა. დაკრძალვა 23 ოქტომბერს, ერკეთის თემში, სოფ. ზემო-ჯვარცმაში. ნ. 1642

სამუდამოთ გულმოკლულნი შვილები: ვერა და ქსენია აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 20 ოქტომბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მამა

სიმონ ლოსაბერიძე

გამოსვენება საკ. სახლიდან, მახარაძის ქუჩა, № 48, 23 ოქტომბერს. დასაფლავება ქუთაისში, აფიხხის სასაფლაოზე. (ს)

ამ.-კავკ. გზათა მიმოსვლის ინჟინერთა ინსტიტუტში

დღეს, 23 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე

შესდგება მუშკ. წევრ სტუდენტთა

საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა.

6786

ექიმი

ქ. თ. ტყეშელაშვილი

განაახლა ავადმყოფების მიღება

კანის და ვენერიული სნეულებანი.

ბელგიის ქ. № 1 (ყოფილ მიხეილოვის საავადმყოფოსთან) დილით 8—9 საათ. საღამოს 6—8
25—3 6615

პ. ი. ჯალალოვი

ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 7—8 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელ. 1—90. 25—1

ექიმი

ვ. ი. შაპელნიკოვი

კლარა ცეტკ. ქუჩა № 7. (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7).
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება საღ. 6—8 საათამდე.
25—13

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტ.-სინათლის კაბინეტი
პეტრიაშვილის ქ. (უდელის) № 11, მიღება საღ. 7—8 ს. ტელ. 21—54

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პარტმანდატი № 0867432, გაცემ. ქუთ. კომიტეტის მიერ—ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბაღდავაძის სახელზე. 6762
— მუშკ. წიგნ. № 118601—ილია ზანგურაშვილის სახელზე. 6663
— კავშ წიგნ. № 2543 და დამხლ. სალაროს წიგნ. № 3345—ეკატ. გურამიშვილის სახელზე. 6741
— პურის წიგნაკები, კავშ. წიგნ., საანგ. წიგნ., მუშკ. წიგნ., პირადობის მოწმ.,—ანნა დავითაშვილის სახელზე. 6738
— მუშკ. წიგნ. № 18548—ნინო ხოსიტაშვილის სახელზე. 6735
— საშუალო სასწავლებლის მოწმ. № 245, ნამსახურობის მოწმ. გაცემ. საჭილაოს ქარხნის მიერ—ვლადიმერ ეპიფანეს-ძე წულაძის სახ.
— მეტრ. ამონაწ.—ვანო ტერზიას სახელზე. 6731
— მუშკ. წიგნ. № 19170—შალვა საჭებლიძის სახელზე. 6730
— კავშ. საწ. წიგნ. და პირად. მოწმ.—პარმენ ივანეს-ძე გიორგობიანის სახელზე. 6725
— ზაქტპ. წიგნ. № 66018—მიხეილ ტყავაძის სახელზე. 6761
— კავშ. წიგნ. № 1149466—ბაბილინე კორძახიას სახელზე. 6743
— 7 წლ. დამთ. მოწმ. გაცემ. ძირულის 7 წლ.—ელენე პანტელის ასული ებანოიძის სახელზე. 6756
— პირად. მოწმ. № 54—ბაბილინა იოსების ასული ნინუას სახ. 6728
— მუშკ. წიგნ. № 82276—ნინა ალექსანდრეს ასულ ჰუმბაძის სახ. 6751
— მუშკ. საწ. წიგნ. № 1067—გრ. კომახიძის სახელზე. 6752
— კავშ. წიგნ.—გრიგოლ მიხეილის-ძე ფრუიძის სახელზე. 6723
— პურ. წიგნ.—ამალია ფანცულაიას სახელზე. 6722
— მუშკ. წიგნ. № 31489—ნინა შესტაკოვას სახელზე. 6720
— მუშკ. წიგნ. № 87723 ქიტია ღვინიანიძის სახელზე. 6719
— მუშკ. წიგნ.—გიორგი ბერუაშვილის სახელზე. 6715
— მუშკ. წიგნ. № 45821—ქეთო ხოჯერიკის სახელზე. 6753
ლომბ. ქვით. № 087459—შალვა ტატიშვილის სახელზე. 6759
— შეშის ორდერი № 711—ილია ალიპაპოვის სახელზე. 6734
— მუშკ. წიგნ. № 43234—არუთინოვის სახელზე. 6748
— მუშკ. წიგნ.—სათენიკ კირმიზოვის სახელზე. 6747
— საანგ. წიგნ. № ა/015 გაცემ. სააქციო საზ. „საქართველოს თევზის" მიერ—ილია დიმიტრის-ძე კაციტაძის სახელზე. 6742
— კოოპ. საწ. წიგნ. № 478—მიხეილ ჯიოშვილის სახელზე. 6760
— მუშკ. წიგნ. № 2722—მიხეილ ზაქარიას-ძე დანელიას სახ. 6760
— მუშკ. წიგნ.—მელიტონ ნიკოს-ძე კეკელიას სახელზე. 6760
— საანგ. წიგნ. № 1382—ვასილ ფილიპეს-ძე ლომთაძის სახ. 6760
მიწა-ტყის მუშათა კავშირის წიგნ. № 48150 და პირადი საქმე—თეოგიზ კირილეს-ძე კალანდაძის სახელზე. 6755
— 7-წლ. დამთ. მოწმ.—გაბრიელ ივანეს-ძე ელბაქიძის სახელზე. 6755
სამხ. ბილეთი—ერეთეოზ მიტროფანეს-ძე კერძაიას სახ. 6755
— მუშკ. წიგნ. № 275—ერასტო კოსთას-ძე კემულარიას სახ. 6755
— სამხ. აღრიც. წიგნ. № 37 პოლოს დოქსანოვის სახელზე. 6755
— საექიმო დახმარების ბარათი № 455, გაცემ. ქართულ ცხენოსან ლეგიონის მიერ—ბიქტორ კვიტაიშვილის სახელზე. 6779
— ბავშის პურ. წიგნ. № 24661—ილია ბოჭორაძეს სახელზე. 6785
— სტიპენდიანტობის მოწმ. № 00353 და მუშკ. წიგნ. № 120533. 6781
— მუშკ. წიგნ. № 118347—ანტონ გრიგოლის-ძე ხარებავას სახ. 6769
— მუშკ. წიგნ. № 12374—გიორგი გოცირიძის სახელზე. 6768
— მუშკ. წიგნ. № 90330—ნადეჟდა საკანდელიძის სახელზე. 6767
— მუშკ. წიგნ.—გურგენ მელიქსეტოვის სახელზე. 6777
— საპენსიო წიგნ. № 572—მიხეილ მაისურაძის სახელზე. 6775
— პურ. წიგნ.—ივანე ბენდიანიშვილის სახელზე. 6773
— მუშკ. წიგნ. № 1817—ლილი დოლიძის სახელზე. 1817
— პირად. მოწმ. და ინვალიდობის მოწმ.—გაბრიელ ელოს ძე შიმშილაშვილის სახელზე. ნ. 1628
— პურ. წიგნ. № 19896 მიშა თოდაძეს სახელზე. 6766
— მუშკ. წიგნ. № 6734—ალექსანდრე გრიკოროვის სახ. 6770
— პირად. მოწმ. № 1981—სედრაკ სერგოს-ძე პაპოევის სახ. 6771
— პურის წიგნაკი „ა" № 6914 მარიამ ჯაჯანაშვილის სახელზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) გაკიროულის კომუჯრედი და ა.ლ.კ.კ. ორგანიზაცია აუწყებს საზოგადოებას ძველ ბოლშევიკის, ჩვენი უჯრედის აქტიური წევრის

ამხ. ვასო ბარამიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 ოქტომბერს, შემოქმედში. ნ. 1635

გურიაში ძველად მომუშავე ამხანაგები: ქ. გორდელაძე, ქ. მახარაძე, ს. ორაგველიძე, გ. ქელეტი და ქ. ბარამიძე ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ მებრძოლ ბოლშევიკის და ამხანაგის

ვასო ბარამიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. (ქ)

გურიის სარეწაო-საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის, ძვირფას ამხანაგ

ვასო ამბაკოს ძე ბარამიძის

გარდაცვალებას. (დეპ.)

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები: ეკატერინე და დავითი, ცოლი სოფიო, ძმა მიშა და რძალი ნინო ელიავები იუწყებიან საყვარელ და დაუვიწყარ

კოტიკო (კონსტანტინე) დავითის ძე ელიავას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 23 ოქტომბერს, ბინიდან, წყნეთის ქ. 11. 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (ს)

გულმოკლული მამიდა მარიამ (პაშა), ბიძა კირილე, მამიდაშვილები: ჟორჟიკ, ლენა შენგელიძისა ქმარშვილით, ვალიკო, მერი და პაკი იოსელიანები აუწყებენ მეგობართ და ნათესავებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

კოტიკო ელიავა

დაკრძალვა დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან—მელიქიშვილის (ყოფ. წყნეთის) ქ. № 11. (ს)

ახლო მეგობრები: შურა კანდელაკი, გოგი ლორთქიფანიძე, გოგი გუგუშვილი, ტუჩა იაშვილი, მიტუშა გველესიანი, გრიშა ძოწენიძე და კოსტია ერქომაიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, მათთვის დაუვიწყარ მეგობრის

კოტიკო (კონსტანტინე) ელიავას

უდროოდ გარდ.-ცვალებას. (ს)

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: ზაქრო მესხი, ვიქტორ გველესიანი, ვლადიმერ თევზაძე და ივანე ლოლობერიძე იუწყებიან მათთვის საყვარელ და დაუვიწყარი მეგობრის

კოტიკო ელიავას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, წყნეთის ქუჩ. № 11. 6787

ღრმად დამწუხრებული და თამარი, სიძე შალვა და დისშვილი მზია ლეკვეიშვილები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ

ქეთევან (ქეთო) დვალიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 23-ს, დღის 4 ნახ. საათზე, ჩერქეზიშვილის და ხუდადოვის ქუჩების კუთხე № 45/4.

უახლოესი მეგობრები: თამარა გოგავა, მარო ლიპარტელიანი-გორგოშიძისა და ხადია გიორგობიანი დავსტირით დაუვიწყარი მეგობრის

ქეთო დვალიძის

უდროოდ დაკარგვას. 6783

უახლოესი ამხანაგები: ლენა აბრამაშვილი, მარო ნანეტაშვილი, დონარა ბარნაბიშვილი, მარო კვიჟინაძე, ვალია ქყონია და ნინო ჩხეიძე დავსტირით საყვარელ ამხანაგის

ქეთო დვალიძის

უდროოდ დაკარგვას. (ს)

მე-2 პედ. ტეხნიკუმის მე 2 კურსის მოწაფეები (ყოფ. მე-9 შრომის სკოლა) აცნობებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი მეგობრის, ყველასათვის საყვარელ

ლეილა (კუკური) შოთაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 6784

თბ. მე-2 პედაგოგიური ტეხნიკუმის (ყოფ. მე-9 შრომის სკოლა) მე-2 (მე-3 პარალელური) კურსის მოწაფეები გულის ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი საყვარელი და დაუვიწყარი ამხანაგის

ლეილა (კუკური) შოთაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 6780

უახლოესი მეგობრები: სულიკო ქავთარაძე, მარგო არუთინოვი, თამარა ბიბილაშვილი, ნინო კონტრიძე და თინა კეკელიძე გულის ტკივილით იუწყებიან, რომ მათი საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი, სიცოცხლით სავსე, ცქრიალა მეგობრის

კუკური შოთაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, 23 ოქტომბერს, 5 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 6776

დამწუხრებული მეუღლე ვალიკო, სიდედრი ნინა, სიმამრი ივანე, მაზლები: ვასილ, კოტე მდინარაძეები აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ანო ალექსანდრე ფატარიძის ასული მდინარაძისა

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია 23 ოქტომბერი, დღის 12 საათი, სოფ. ფამფალეთში (გურია). ნ. 1636

ტირაჟი—59.565
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904